პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წლიწადი მეხუთე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6 500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 4.000 000 მანეთი განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 206 შაბათი, 8 სექტემბერი, 1923 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 250,000 მან.
№ 206

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— ბავარიაში გაიმართა ფაშისტების დღესასწაული, რომელსაც დაესწრენ გენ. ლიუდენდორფი და სხვა გამოჩენილი რეაქციონერები.

— სამხრეთ-სლავიასა და იტალიას შორის მწვავდება კონფლიქტი ფიუმეს საკითხის გამო.

— მიწის ძვრამ იაპონიაში უთავშესაფაროდ დასტოვა 6 მილიონი ოჯახი.

— იაპონიის მთავრობამ ჩააქრო კორეის ჯარების აჯანყება.

ა. წ. 12 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის შენობაში დანიშნულია

ცეკას პლენუმის მორიგი სხდომა

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ცეკას მდივანი მ. კახიანი.

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ს. ა. კ. კ. ცეკას დადგენილებით, 15 ენკენისთვისათვის ქ. ტფილისში მოწვეულია მორიგი მე 6 (მე-3 მე ლეგალური) სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის

ყ რ ი ლ ო ბ ა

ყრილობაზე დასმულია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება ს. ს. რ. კ საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაზე.
2) ს. ა. კ. კ. ცეკას ანგარიში.
3) ა. კ. კ. ამიერ-კავკასიის კომიტეტის მოხსენება.
4) საქ. ახალ. კომუნისტური კავშირის ამოცანები.
5) სასკოლო აღმშენებლობა.
6) ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა.
7) ცეკას არჩევნები.

ყრილობაზე იმუშავებენ სექციები.

ა) საორგანიზაციო.

1) კავშირის აქტიურ შემადგენლობის მომზადება.
2) წითელ ჯარში და წვევამდელთა შორის მუშაობა.
3) ს. ა. კ. კ. სტრუქტურა.
4) ს. ა. კ. კ-ში ფიზიკური კულტურის საქმის განვითარება.
5) ქალთა შორის მუშაობა.
6) უმცირეს ეროვნებათა შორის მუშაობა.
7) საალრიცხვო, საინფორმაციო და სასტატისტიკო საქმის დაყენება.
8) მუშაობა მოწაფეთა შორის.

ბ) სააგიტაციო საპროპაგანდო.

1) პოლიტ. განათლების სისტემა.
2) აქტივისტების თვითგანვითარება.
3) ყოფაქცევის ნორმების გამომუშავება.
4) სოფლათ მუშაობა.
5) საპროფ. კოლექტივების მუშაობა.
6) კავშირის პრესა.

გ) ეკონომიური.

1) მუშათა ახალგაზრდობის ტარიფი.
2) უმუშევრობა.
3) ქალაქად და სოფლად პროფესიონალური მუშაობა.
4) სასოფლო სამეურნეო განათლება.
5) მუშათა ახალგაზრდობის სკოლები.
6) ტრანსპორტზე მუშაობა.

წარმომადგენლობის ნორმა: 150 ამომრჩევი გზავნის 1 დელეგატს.

ს. ა. კ. კ. ცეკას მდივანი: გ. დევდარიანი.

სპარსეთი და ინგლისის იმპერიალიზმი

II

პოლიტიკას თავის კოლონიალური ქვეყნების დარბევისა და ხალხთა აწიოკებისას, რომელსაც აწარმოებს ინგლისის იმპერიალიზმი და რომელზეც ჩვენ მოკლეთ ვწერდით გუშინ, ატარებს ინგლისი სპარსეთშიც.

კიდევ 1907 წელს ნიკოლოზის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულების თანახმათ, რომლის ძალით მოხდა ეგრედ წოდებულ „გავლენის სფეროთა" გამიჯვნა სპარსეთში ამ ორ მტაცებელთა შორის, ინგლისმა ხელთ იგდო ნავთის წყაროებით მდიდარი სამხრეთ სპარსეთი ქალაქ ამადანით, როგორც ცენტრით, სადაც შეუზღუდველათ ბატონობს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ინგლისელების კომპანია „სამხრეთის ნავთი". ჩრდილოეთ სპარსეთში კი, როგორც ცნობილია, ფეხი მოიკიდა მეფის რუსეთმა. მაგრამ ინგლისი მარტო სამხრეთით როდი დაკმაყოფილდა.

ისარგებლა რა მსოფლიო ომის პირობებით, როდესაც რუსეთის თვითმპყრობელობას სხვა გარეშე საქმეებისთვის აღარ სცალოდა, ინგლისმა ხელი წაუპოტინა ჩრდილოეთ სპარსეთს და ფაქტიურათ დაეპატრონა არა მარტო მას, არამედ მისწვდა ბაქოს ნავთსაც. მაგრამ საბჭოთა წითელმა ჯარმა დაიფრინა ის არა მარტო ამ მაზუთის სამეფოდან, არამედ კასპის ზღვის სამხრეთ ნაპირებიდანაც ე. ი. ჩრდილოეთ სპარსეთიდან. ამ დროს მოხდა ისიც, რომ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ინგლისმა შეხანხლა სპარსეთის მაშინდელ მთავრობის მიერ ხელის მოსაწერათ და რომლის თანახმათ მთელი ეს ქვეყანა ხელფეხ შეკრული ხელთ უნდა ჩავარდნოდა მოძალადეებს,—ეს პროექტი უარყოფილ იქნა მაშინდელი მეჯლისის მიერ. ასეთი მარცხით დათავდა ამ ხანებში ინგლისელების ცდა. მაგრამ სპარსეთის ანგლოფილური მთავრობა განაგრძობდა „საყვარელი სამშობლოს" ღალატს, სანამ ამხედრებულმა ხალხმა თვით არ „უღალატა" თავის მთავრობას ამ წლის იანვარში თავდაყირა არ გადაატრიალა ის. კავაკამა-ეს-სალტანეს მთავრობის ადგილი დაიჭირა მუსტოფი-ოლ-მემალეკის კაბინეტმა, რომელიც თავის მხრით დაეცა წარსულ ივლისში. რა ძალებზე ემყარებოდა მუსტოფის მთავრობა?

ერთად ერთი სერიოზული ძალა, რომელსაც შეგნებული აქვს სპარსეთისათვის დამღუპველი მნიშვნელობა ინგლისის იმპერიალიზმისა, არის ახალგაზრდა დემოკრატიული ბურჟუაზია, მატარებელი, დღევანდელ პირობებში, სპარსეთის ეკონომიურ-კულტურული აღორძინებისა. ამ ბურჟუაზიის პოლიტიკური წარმომადგენლობა არის ეგრედ წოდებული ნაციონალური ან ნაციონალ-დემოკრატიული ბლოკი. ეს ბლოკი ებრძვის სპარსეთის რეაქციონულ ფეოდალებს, რომელსაც ეყრდნობა ინგლისი და უკვე ამ ფაქტით ებრძვის ის ინგლისის იმპერიალიზმის დამღუპველ მუშაობასაც სპარსეთში. და რომ ეს მუშაობა მართლაც დამღუპველია და დამრბევი ამ ქვეყნისათვის, ეს აშკარაა სხვათაშორის შემდეგი, მრავალ მსგავსთა შორის აღებული, ფაქტებიდანაც.

ინგლისის ბატონობას ამაგრებს სპარსეთში უმთავრესათ ორი ორგანიზაცია. პირველია ჩვენ მიერ გაკვრით ზევით უკვე ნახსენები კომპანია „სამხრეთის ნავთი" და მეორე—ფინანსიური დაწესებულება, ინგლისის ბანკი, ეგრედ წოდებული „შახინშახის ბანკი", რომლის ფაქტიური მმართველობა ხელში აქვს დიდი ბრიტანეთის საელჩოს თეირანში.

როგორც ცნობილია, ბანკები და მათი ფილიალები უმთავრესი ორგანოები იმპერიალისტური ეკონომიური ძლიერების გავრცელებისა არა მარტო მეტროპოლიებში. ის კრედიტები, რომლებსაც ეს ბანკები აძლევენ მარჯვნივ და მარცხნივ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადგილობრივ მთავრობებს და კერძო საზოგადოებებს თუ პირებს, სპობენ ქვეყნის ეკონომიურ დამოუკიდებლობას და ამზადებენ ამ გზით ნიადაგს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვისათვისაც. სპარსეთში „შახინშახის ბანკს" ამ მხრივ დიდი „გამოცდილება" აქვს. გარდა იმისა, რომ ჩვეულებრივი „ნორმალური" საჭიროებისათვის ბანკის გიშეების წინ მუდამ ჩამდგარი არიან რიგში კრედიტის მაძიებელნი, ბანკის ასეთ „ოპერაციებს" ხელს უწყობს შეგნებულათ ინგლისის აგენტების „მოღვაწეობაც" სპარსეთში, რაც ხასიათდება არევ-დარევის შეტანით სახელმწიფოში, მთელ რიგ ტომების აჯანყებათა გამოწვევით ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც, ასეთი მდგომარეობით ფინანსიურ გაჭირვებაში ჩავარდნილი, მიმართავს ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოების სახით, ისევ ბანკს—კრედიტისათვის. მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება „მოღვაწეობა" ამ ბანკისა და „სამხრეთის ნავთის საზოგადოების", რომელიც ფართოთ აწარმოებს სხვას საკრედიტო ოპერაციებსაც, თუმცა ეს არ შეადგენს მის უშუალო ამოცანას სპარსეთში. გარდა ამ პირდაპირ ფუნქციონალურ დავალებისა, „შახინშახის ბანკი" ეწევა სხვაგვარ „მუშაობასაც". მას „ტრადიციით" ხელში აქვს ჩავარდნილი უფლება ბანკნოტების გამოშვების, რომელიც ტრიალებს ბაზარზე უამრავი რაოდენობით ასეთი და სხვა ხრიკებით ბანკი თავს უყრის თავის სალაროში სპარსეთის ვერცხლის ფულებს და გააქვს გარეთ, კერძოთ ინდოეთში. თვით სპარსული პრესის ცნობით, დღემდე გატანილია 50.000 000 სპარსული ვერცხლის კრანი. ცხადია როგორი დამღუპველი და ქვეყნის ეკონომიური ორგანიზმის დამრღვევ დამშლელი მნიშვნელობა აქვს ვალიუტის ასე პირწმინდათ ამოკრებას ფულის ბაზრიდან და ამის „სამაგიეროთ" სრულიად ფასდაკარგული ქაღალდის ფულის ნიშნებით ამ ბაზრის ამოვსებას.

ინგლისის „კულტურონსნების" ასეთი თარეშის პირობებში შეუდგა თავის მოღვაწეობას სპარსეთის ნაციონალური ბლოკის მთავრობა მუსტოფის მეთაურობით. უკვე ამ გარემოებამ განსაზღვრა კაბინეტის შინაური და საგარეო პოლიტიკა.

ახალგაზრდა ბურჟუაზია მოითხოვდა მისგან ზომებს ინგლისელების მიერ ვალიუტის ამოქაჩვის წინააღმდეგ—მანაც შესაფერისი კანონი გამოსცა. მთელი ხალხი მოითხოვდა მისგან საბჭოთა სახელმწიფოებთან ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენას და საგარეო პოლიტიკაში ხელადებით ორიენტაციას ამ სახელმწიფოებზე. კაბინეტმა კატეგორიული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით და სწორეთ მის დროს დაიწყო სავაჭრო ხელშეკრულების შემუშავება საბჭოთა რუსეთთან. ამას გარდა იმავე კაბინეტმა დაიწყო მთელი რიგი რეფორმებისა არმიის, სასამართლოს, გადასახადების სისტემას და სხვ. სფეროებში. და სწორეთ ყოველივე ამის გამო მონათლეს ის მტრებმა და მეგობრებმაც „რუსოფილურ კაბინეტათ". მაგრამ, იმავე დროს, ამ მიზეზის გამო შეიქნა სპარსეთის ნაციონალური აღორძინების მოსტოფი-ოლ-მემალეკის კაბინეტი ინგლისის იმპერიალისტების თავდასხმის ობიექტათ როგორც ვთქვით ეს მთავრობა დასცეს უცხო ძალებმა და მის მაგიერ ქვეყნის მართვა გამგეობა ხელთ იგდეს ანგლოფილურმა ელემენტებმა, რომლებიც, თუმცა ხმა მაღლა არ გაჰკიოდნენ აშკარათ თავის საიდუმლო ზრახვებზე—რადგან დიდი იყო და არის აღშფოთება ინგლისის წინააღმდეგ—მაგრამ რომელიც ფაქტიურათ აჰახრაკებდენ დიდი ბრიტანეთის ბანკირების ბნელ საქმეებს სპარსეთში.

ეს მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა და კიდევაც ჩვენ მოწამე შევიქენით უკანასკნელ დღეების მღელვარებისა და არეულობის თეირანში, რომლებიც, როგორც მკითხველებმა უწყიან, ერთთავათ მიმართული არიან ინგლისელ მტაცებლების წინააღმდეგ.

როგორია მომავლის პერსპექტივები ნახევრათ კოლონიათ გამხდარ სპარსეთის?

ჩვენ განკარგულებაში სამწუხაროთ ძალიან ცოტა ცნობებია დღეს იქ მებრძოლ ძალთა განწყობილების შესახებ. და ამიტომ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, თუ როგორ დათავდება ახლო-მომავალში ნაციონალ-დემოკრატების ბრძოლა ინგლისის იმპერიალისტურ მოძალადეების წინააღმდეგ. მაგრამ ერთი რამ გადაჭრით და კატეგორიულათ შეგვიძლია ვთქვათ ახლავე და ეს ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს წინეთაც:

ერთად-ერთი გულწრფელი და უანგარო მეგობარი თავის აღორძინებისა და განთავისუფლებისათვის მებრძოლ სპარსეთის ხალხს ყავს მხოლოთ მუშურ-გლეხურ საბჭოთა სახელმწიფოების დიდ კავშირში.

საბჭოთა მთავრობამ გადაახია ინგლისის იმპერიალისტებს თავზე—და ეს იყო კომუნისტების უმნიშვნელოვანესი პროპაგანდის ნიმუში აღმოსავლეთში!—ნიკოლოზის ხელშეკრულება სპარსეთის შახთან. და ისევ საბჭოთა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათთან მეგობრობით, მიაღწევს სპარსეთი თავისი განთავისუფლების მიზნებს.

ჩვენ გვწამს, რომ ამას ღრმად შეიგნებენ პოლიტიკური მოღვაწეები სპარსეთის, შეიგნებენ ყველა ისინი, ვინც იბრძვის ამ ქვეყნის და მთელი აღმოსავლეთის ბრწყინვალე მომავლისთვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ღერბი

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს

საშინელი მიწის ძვრა იაპონიაში

კორეიის ჯარების აჯანყება ჩააქრო იაპონიის მთავრობამ. იაპონიის სამხედრო მინისტრი ტოკიოში თავს უყრის ჯარებს და საჰაერო ფლოტს.

მთელს იაპონიაში უთავშესაფაროდ არის დარჩენილი ექვს მილიონამდე ოჯახი.

ყველა ქვეყნებში ეწყობა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ორგანიზაციები და სწარმოებს შემოწირულებათა შეკრება.

მიწის ძვრის შედეგები

ზღვის მოხეთქება კალიფორნიაში.

ბერლინი. 6 სექტემბერი სან-ფრანცისკოდან იუწყებიან, რომ კალიფორნიის მთელ სანაპიროებს მძლავრად მოასკდა აგორებული ზღვის ტალღები, ალბად იაპონიის მიწის ძვრის გამო. ბევრი გემები დაიღუპა.

დაკარგული კუნძულები.

პარიზი 6 სექტემბერი. იაპონიიდან მიღებულის ცნობებით, მიწის ძვრის დროს აგორებული ტალღების ქვეშ მოჰყვა ორი კუნძული ოვია და ოშიმა.

დაღუპულია ნახევარი მილიონი სული.

პარიზი. 6 სექტ ტოკიოს პოლიციის ანგარიშით, დაღუპულთა რიცხვი ნახევარ მილიონს უდრის. ამათგან ტოკიოში დაღუპულა 100 ათასი. იაპონიის მთავრობას დიდი საზრუნავი გაუჩნდა, რამდენიმე მილიონ ცისქვეშ დარჩენილ ხალხის კვება.

საზღვაო მიმოსვლა შეფერხდა.

რომი. 6 სექტემბერი. იაპონიის ნავთსადგურებში მივიდა ამერიკის ესკადრები, საზღვაო მიმოსვლა გაძნელებულია, რადგანაც ზღვის ღელვა არ დაწყნარებულა.

უბედურების რაიონი.

ბერლინი. 7 სექტემბერი. გაზეთ „ასახი"-ს ცნობით, მიწის ძვრა გავრცელდა ჩრდილოეთით და სამხრეთით 300 კილ. და დასავლეთით და აღმოსავლეთით 450 კილომეტრის მანძილზე, სადაც მოსახლეობა შეადგენდა 9 მილიონს.

მხოლოდ ორი სახლი.

ბერლინი. 7 სექტემბერი. იოკოგამაში დაუნგრეველი დარჩა მხოლოდ 2 სახლი.

ექვსი მილიონი კაცი უთავშესაფაროდ.

ლონდონი. 7 სექტემბერი. უკანასკნელი ცნობით, იაპონიაში უთავშესაფაროდ დარჩენილია დაახლოვებით 6 მილიონი კაცი.

იაპონიის ელჩის ცნობა.

ლონდონი. 7 სექტემბერი. იაპონიის ელჩმა ლონდონში მიიღო რადიო იაპონიის ელჩისაგან პეკინში, რომელიც იძლევა ზოგიერთ ცნობების უბედურების რაოდენობის შესახებ. მისი სიტყვით, მიწის ძვრა და ამით გამოწვეული ცეცხლი უსაშინელეს უბედურებას წარმოადგენს იაპონიისათვის. იოკოგამა სავსებით დანგრეულია ზღვის ზვავით და ცეცხლით, რის გამოც აფეთქდა ნავთის აუზები. თითქმის სავსებით დანგრეულია სხვა ქალაქებიც, როგორც მაგალითად კაკამურა, ადავარა, კიხამა, ვოტუმბა, მიშიმი, ატამისი, შიმუდა, შიბა, ხაკიოზი, კავაგუმი და კოფუ.

ტოკიოში, მიწისძვრის გამო ცეცხლმა იფეთქა, ერთს და იმავე დროს 40—50 ადგილზე. ყველა შენობიდან გადარჩა მხოლოდ უმაღლესი სასამართლო, იუსტიციის სამინისტრო, პრეფექტურა, იმპერატორის სასახლის ნაწილი და რკინისგზის სადგური.

იტალიის ელჩის დაღუპვა.

ბერლინი. 7 სექტემბერი. საფრანგეთის ელჩი კობეში იტყობინება ტოკიოში იტალიის ელჩის დაღუპვის შესახებ.

განძეულობა გადაარჩინეს.

ბერლინი. 7 სექტემბერი. ტოკიოში გადაარჩინეს განძეულობა და სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგი.

სახელმწიფო ბანკი დაიწვა.

ხარბინი. 6 სექტემბერი. როგორც იუწყებიან, ტოკიოში დაიწვა სახელმწიფო ბანკი, თუმცა იაპონელები ამტკიცებენ, ბანკის საწყობები გადარჩაო.

იაპონიის ღირებულებათა დაცემა.

ნიუ იორკი. 6 სექტემბერი. საფონდო ბირჟაზე იაპონიის სახელმწიფო ვალდებულებათა ქაღალდების ფასმა დაიწია.

საფრანგეთის ქვეშევრდომთა ბედი იაპონიაში.

პარიზი. 6 სექტემბერი. ჯერ არაა ცნობები იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია საფრანგეთის ქვეშევრდომებს იაპონიაში. არის ცნობა მხოლოდ, რომ ტოკიოში დაინგრა შენობა საფრანგეთის საელჩოსი. არ აქვთ ცნობა, აგრეთვე იაპონიაში მყოფ საფრანგეთის ელჩის, ცნობილ მწერალ პოლ კლოდელის შესახებ.

საფრანგეთის ელჩი და კონსული გადარჩენ

ბორდო. 6 სექტემბერი. საფრანგეთის კონსული კობეში და საფრანგეთის ელჩი პოლ კლოდელი გადარჩნენ.

იაპონიის სამეფო გვარეულობის წევრთა დაღუპვა

ბორდო. 6 სექტემბერი. პარიზში მყოფ იაპონიის საელჩოს ცნობით, მიწის ძვრის დროს დაიღუპა რამდენიმე წევრი სამეფო გვარეულობისა.

რუსეთის გემების ბედი

ვლადივოსტოკი. 6 სექტემბერი. იაპონიის წყლებში იმყოფება რუსეთის სამი გემი. ორი გემი—„კიშინევი" და „ასტრახან"-ი აღარა სჩანს. მესამე კი „სიმფეროპოლი" კობეში დაბანდდა.

უცხოეთის დახმარება იაპონიას

ავსტრალიის ჰაეროპლანები ეხმარებიან.

ლონდონი. 6 სექტ. ავსტრალიიდან იუწყებიან, რომ იქიდან გაუგზავნიათ იაპონიაში ჰაეროპლანები, დახმარების აღმოსაჩენად.

ამერიკის დახმარება.

ვლადივოსტოკი. 6 სექტ. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ კულიჯმა ბრძანება მისცა ამერიკის ფლოტს მთელის შემადგენლობით გაემართოს იაპონიის სანაპიროებისაკენ დახმარების აღმოსაჩენად.

5 მილიონი დოლარი ამერიკის წითელ ჯვრისაგან.

ნიუ-იორკი. 6 სექტ. ამერიკის წითელი ჯვრის საზოგადოება 5 მილიონ დოლარს შეაგროვებს იაპონიის დასახმარებლად.

საფრანგეთის დახმარება.

პარიზი. 6 სექტემბ. საფრანგეთის მთავრობამ იაპონიის იმპერატორს ოფიციალური სამძიმარი შეუთვალა და იაპონიაში გაგზავნა გემი დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

კანადის და ავსტრალიის დახმარება.

ლონდონი. 7 სექტემბერი. ავსტრალიის მთავრობამ დახმარების სახით გაგზავნა 60,000 გირ. სტერლინგი. კანადა გზავნის სურსათს.

არეულობა იაპონიაში

ამბოხება ჩააქრეს.

ხარბინი. 6 სექტემბერი. იაპონიის სააგენტოს გოხის ცნობით, კორეიელების მიერ გამოწვეული ამბოხება უკვე ჩააქრეს. გამოცხადდა საალყო წესები.

ამბოხებების წინააღმდეგ.

ხარბინი. 6 სექტემბერი. იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ტოკიოში მოუყარა თავი ჯარსა და საჰაერო ფლოტს.

მიწის ძვრის მიზეზები

იაპონია გახდა მსხვერპლი დიდი გეოლოგიური კატასტროფისა, რომლის მზგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.

ეს მიწის ძვრა არ არის ჩვეულებრივი—ვულკანიური, რომელსაც ამ რამოდენიმე თვის წინად იტალიაში ჰქონდა ადგილი. იაპონიის დღევანდელმა მიწის ძვრამ გამოიწვია ისეთი გეოგრაფიული ცვლილებები, რომლის გამოსაწვევად ვულკანიური მოქმედება უძლურია. მრავალს აღეძვრის საკითხი, თუ რა ხასიათის არის იაპონიაში მომხდარი კატასტროფა და რა არის მისი მიზეზი.

გასული საუკუნის შესანიშნავ ბუნების მეტყველს ალ. ჰუმბოლდტს ყოველი მიწის ძვრის მიზეზად ცეცხლის მფრქვევი მთების მოქმედება მიაჩნდა. ზოგ შემთხვევაში ეს მართლაც ეგრეა, მაგრამ არა ყოველთვის. არის მიწის ძვრა, რომელიც ვულკანის მოქმედების შედეგს წარმოადგენს. ამ კატეგორიას ეკუთვნის ის მიწის ძვრა, რომელიც წინ უძღვის, ანუ მოჰყვება ხოლმე ვულკანის მოქმედებას. მიწის ძვრათა სულ სხვა რიგს ეგრედ—წოდებული **ტექტონიური მიწის ძვრა** შეადგენს. ამგვარ მიწის ძვრას საშინელი განმანადგურებელი თვისება აქვს და დიდ მანძილზედაც მოქმედებს. მეცნიერების აზრით, ტექტონიური მიწის ძვრა მთათა განვითარების პირდაპირი შედეგია. ცნობილია, რომ დედა მიწის ქერქი მუდმივ მოძრაობაშია, გამოკვლეულია, რომ ზოგი მისი ნაკვეთები დაბლა იწევს, ზოგი მაღლა, რომ ამის გამო მისი ფენები მდგომარეობას იცვლიან: ალმაცერად, ან და თავდაყირა დგებიან, რკალივით ილუნებიან, იბზარებიან. ეს მოვლენები, რასაკვირველია, დედამიწის ზედაპირის რყევას იწვევს, რასაც მიწის ძვრას ვუწოდებთ.

მეცნიერი **ზუხი** ტექტონიური მი-

„ბარბაროსები" და „კულტუროსნები"

(საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტის გამო)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობა თავზარდაცემული იყო პროლეტარულ კლასის ერთ-ერთ საუკეთესო შვილის—ამხ. ვოროვსკის თავის სადარაჯოზე დაღუპვის ცნობით; იგი დაიღუპა თეთრ-გვარდიელთა ტყვიით განგმირული და დევნილი ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ოფიციალურ აგენტების მიერ; დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში ყოველ მხრივ მტრით გარშემორტყმული; დაიღუპა ისე, რომ ხელიდან არ გაუშვია ჩვენი დროშა. და ლოზანის ტყვიასთან ერთად დაიჭექა კერზონის ულტიმატუმმაც.

როგორ გამოეხმაურა მაშინ ამ ამბებს ბურჟუაზიული პრესა,—ეს ჭუჭყიანი სარკე ამერიკისა და ევროპის დიდ ქალაქების მოოქროვილ საზოგადოების ჭუჭყიან „საზოგადოებრივ აზრისა"? იგი თითქმის ქებათაქებას ახხამდა მკვლელებს. არც ერთი მთავრობის პროტესტი, არავითარი ზომა შვეიცარიის მთავრობის,—რესტორატორების, მედუქნეთა და მოსეირნე ბანკოკრატიის ლაქიათა რესპუბლიკის ამ უბადრუკ ხროვის წინააღმდეგ. დიდი რამე!—მოჰკლეს პროლეტარულ ქვეყნების „ბარბაროსი"—წარმომადგენელი. დიდება კულტუროსან მკვლელს, თეთრ კონდიტერს და ოფიცერს, თანამედროვე ბურჟუაზიული ინტელიგენციის განმასახიერებელ ფაშისტურ ბანდების გმირს!

როგორ მოქმედობდა მაშინ საბჭოთა მთავრობა? ომი გამოაცხადა? სროლითვე უპასუხა? არა. მშვიდობიანობის გულისთვის ის დათმობაზე წავიდა. მიუხედავათ შვეიცარიის ხელისუფლების განსაკუთრებულ არამზადობისა იგი არ შეხებია არც ერთ ბეწვს არც ერთ შვეიცარიელის თავზე, რათა აეცილებინა კაცობრიობისათვის თუნდაც **მუქარა** ომისა. და ეს მიტომ, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასსები ყველაზე უფრო აფასებენ **მშვიდობიანობას**, მშვიდობიან **შრომას**,—ამ საძირკველს მეურნეობის აღდგენის და აყვავებისა.

ეხლა კი შეხედეთ, როგორ მოქმედობენ „ისინი", ბურჟუაზიულ სამინისტროების კულტუროსანი ვაჟბატონები. მოკლეს იტალიელი პოლკოვნიკი, რომელიც ცივილიზაციის სახელით სხვის მიწებს „ანაწილებდა" პასუხად ამისა იტალიის მთავრობამ სისწრაფით, რომელიც ღირსი იყო უკეთესი გამოყენებისა, ფაქტიურათ იწყებს **სამხედრო მოქმედებებს** საბერძნეთის წინააღმდეგ. საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტი დაუყოვნებლივ იზრდება და მუქარათ იქცევა. კვლავ აშკარავდება ერთა ლიგის სრული უძლურება. ლორდ სესილი აცხადებს „საფუძვლების რყევის" შესახებ, რადგან იტალიელ მუსოლინისტებს არც დიდათ ეჭაშნიკებათ ინგლისელ ლორდთა რჩევების ასრულება.

მიუხედავათ ყოველგვარ დეპეშებისა ინგლის-საფრანგეთის სოლიდარობის შესახებ, ამ დეპეშებში ნათლათ გამოსჭვივის მათი **გააფთრებული ბრძოლა** (ინგლისი ზურგს უმაგრებს საბერძნეთს, ხოლო საფრანგეთს, კი სრულიად არ ეჭაშნიკება იტალიაზე ენერგიულ, ზედგავლენის მოხდენა). „მცირე ანტანტის" სახელმწიფოები დამფრთხალი არიან იტალიის აგრესიულ მოქმედებით: სამხრეთ-სლავია პირდაპირ იტალიის რევოლიუციის ლულის წინ დგას. ევროპის საერთო ქაოსით შეწუხებული სკანდინავიის ქვეყნები „ლიგიდან" გამოსვლით იმუქრებიან. ერთი სიტყვით, ხდება არა თუ მარტო ლიგის **სტატუტების** შებღალვა (იტალიის ურჩობა), არამედ საკმაოთ ძლიერი რყევა მსოფლიოს ისედაც წელმოწყვეტილ საძირკველისა, რომელიც, თუმცა უნუგეშოთ, მაგრამ ჯერ კიდევ ლაფავს სულს ევროპაში.

ამ „განათლებულთა" ნახევარი კი, რომლებიც მუქარის ქვეშ აყენებენ **მშვიდობიანობის საქმეს**, რასაკვირველია, აღშფოთებულია მკვლელობით. მართლაც და, მოკლული საბჭოთა ქვეყნის „ველური" კი არ არის არამედ მეფის პოლკოვნიკია, რომელიც არასდროს არ ჩართულა რევოლიუციაში, პირიქით სხვის ქონებას თავის მეფისთვის ისაკუთრებდა მხოლოთ სრულ კანონიერების ძალით!

ასე მოქმედებენ „კულტუროსნები". კიდევ და კიდევ ნათელი ხდება, რომ ბურჟუაზია არა ერთხელ თავს დაესხმება კაცობრიობას. ეხლა მთელი საერთაშორისო ცხოვრების ცენტრებში (თუ არ ჩავთვლით იაპონიის სტიქიურ უბედურებას, რომელმაც შესამჩნევი ძალთა გადაჯგუფება გამოიწვია დიდ სახელმწიფოთა შორის) დგას მოახლოვებული **გერმანიის რევოლიუცია**. სრულიადაც არ არის უსაფუძვლო გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვების შესაძლებლობა. და თუ ეხლა ალბანიის ერთი ნაჭერისათვის ბურჟუაზიული მთავრობები ჯაჭვს უხსნიან ომის ფურიებს, ცდილობენ რა ამით შექმნან შთაბეჭდილება თითქოს მათ მეფის პატიოსან მოსამსახურე პოლკოვნიკის ბედი აინტერესებს,—რას იზამენ ისინი მაშინ, როდესაც ევროპის ცენტრში, მისი მრეწველობის გულში, გაიმარჯვებს პროლეტარიატი? ისინი მთელის ძალღონით დაეცემიან აჯანყებულ პროლეტარიატს და თუ მის დარბევას მოახერხებენ, სინჯავენ თავდასხმას ჩვენს კავშირზედაც. ამისი საბაბი ყოველთვის მოინახება, არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც პოლონეთის ერთმა გაზეთმა გამოსცა მოწოდება „მოსკოვთან" ომის შესახებ, იმ მოსაზრებით რომ ასე გასინჯეთ!—ინგლისს ძალიან მოსწონს აზერბეიჯანის ნავთი და საქართველოს სიმდიდრეები. ვიმეორებთ, საბაბი ყოველთვის მოინახება.

ეს საშიშროება მიმდინარე მომენტის ყველაზე უფრო საგრძნობი საშიშროებაა. საბჭოთა კავშირი და მისი მთავრობა **უკანასკნელ წუთამდე დაიცავს მშვიდობიანობის საქმეს.** მაგრამ იგი დგას ყველა მშრომელთა და ჩაგრულთა ინტერესების სადარაჯოზე და არასოდეს არ დაუშვებს, რომ გერმანიის პროლეტარიატის გვამზე ფეხგადაბიჯებულმა საფრანგეთის მევახშეებმა თოკი წაუჭირონ საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ყოველი ნაბიჯი ხაზს უსვამს კომუნისტურ პოლიტიკის სისწორეს. გაძლიერებულ ქაოსის, რღვევის, ფაშიზმის და დეზორგანიზაციის წინააღმდეგ, ჩვენ უძლეველი ენერგიით ავაგებთ ჩვენი საერთაშორისო სოლიდარობის, პროლეტარულ ქვეყნების მეურნეობრივ სიმტკიცის და პროლეტარულ რევოლიუციის ძლევამოსილების ზღუდეს.

ნ. ბუხარინი.

„ზ. ვ."

აგიტაციის და პროპაგანდის საკითხები საქართველოში

VII

დასკვნა. სად უნდა იქნას ყურადღების ცენტრი?

წინა წერილებიდან რამოდენიმეთ მაინც ცხადია, თუ რა დიდი ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი აგიტაციის და პროპაგანდის დარგში. ჩვენ შევეხეთ მხოლოდ რამოდენიმე საკითხებს. ამათ გარდა არის კიდევ მრავალი ამოცანები. ერთი სიტყვით, აგიტაციის და პროპაგანდის დარგში ჩვენ მეტი გვაქვს გასაკეთებელი, ვინემ პარტიული მუშაობის სხვა დარგში. წავიდა ის დრო, როდესაც შეიძლება დაკმაყოფილებულიყავით მიტინგებით და ზერელე აგიტაციით. დღეს მასა ჩვენგან მეტს მოითხოვს, საკითხების უფრო ღრმათ დასმას. ეს პროცესი დაისახა განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის დაწყების შემდეგ. ჩვენ დავდექით სულ ახალი პირობების წინაშე. კაპიტალს ჩვენ უნდა ვებრძოლოთ „ნეპას" შემდეგ არა მარტო სამხედრო ფრონტებზე, არამედ ყოველ ფეხის ნაბიჯზე; ფაბრიკებში, ქარხნებში, სავაჭროებში, იქ, სადაც კი ფიქრობს მან მოიკალათოს და გაავრცელოს თავისი ეკონომიური და იდეოლოგიური გავლენა. რა თქმა უნდა, ეს ახალი ხანა მოითხოვდა სულ ახალ მიდგომას. სწორეთ ამიტომ დაისახა უდიდესი ამოცანები საგიტაციო-საპროპაგანდო ხასიათისა. ყოველ მუშას და გლეხს უნდა ესმოდეს, თუ ვის ხელშია დღეს გასაზოგადოებრივებული მრეწველობა, თუ როგორი ბრძოლა სწარმოებს მის და კერძო მესაკუთრეებს შორის.

ამასთანავე მას უნდა ჰქონდეს წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი მიხვეულ-მოხვეული გზებით მივდივართ ჩვენ სოციალიზმისაკენ. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ თან მოიტანა ბურჟუაზიული იდეოლოგია.

ის კვლავ ცდილობს გაცოცხლდეს და ძველი გავლენა დაიბრუნოს.

პროლეტარულმა იდეოლოგიამ ქედი მოიხაროს მის წინაშე და იდეოლოგიურ ფრონტზე მედგარ შეტევაზე გადავიდეს.

მაგრამ ამისათვის ჩვენ გვჭირია, უპირველესად ყოვლისა, აგიტაციის და პროპაგანდის საქმის შესაფერ სიმაღლეზე დაყენება.

ჩვენი პარტიის მე-10-ე, მე-11-ტე და მე-12-ტე ყრილობებმა ამას მიაქციეს სერიოზული ყურადღება. აგიტაცია და პროპაგანდა გახდა პარტიული მუშაობის მთავარი დარგი. ჩვენში? ჩვენში ყველაფერი გვიანდება. ჩვენ ბევრი კარდინალური საკითხები გადაუწყვეტელი გვაქვს აგიტაციის და პროპაგანდის დარგში. მგონი აშკარა უნდა იყოს ყველა ამხანაგისათვის, რომ ეს დარგი ჩვენში მოიკოჭლებს.

ჩვენ სწორი კურსი ავიღეთ მიწის საკითხში, ეროვნულ საკითხში და სხვა, რამაც არ დააგვიანა თავისი ნაყოფის გამოღება; ეხლა საჭიროა ჩვენი ყურადღება მივაქციოთ პროპაგანდის საკითხსაც. ბუნებრივათ, ყურადღების ცენტრი აქეთკენ უნდა გადაიხაროს. ფართე მასებს სჭირია შეგნება და შეცნობა იმის საბოლოოდ, რაც მოხდა. ამ რამოდენიმე დღის წინათ მენშევიკებმა თავის პარტიას ლიკვიდაცია უყვეს. მათ გააუქმეს თავისი პარტია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ერთბაშად კომუნისტები გახდნენ. ეს მთელი პროცესია. აქეთკენ ევოლიუცია დიდხანს გაგრძელდება. მაგრამ ერთი აშკარაა. ასეთი მდგომარეობა მოწინააღმდეგეთა ბანაკში და მათი დიდი ნაწილის საბჭოთა პლატფორმაზე გადმოსვლა კიდევ დამატებით დიდ ამოცანებს გვიყენებს ჩვენ აგიტაციის და პროპაგანდის სფეროში. როგორ შეიძლება, რომ ამ დარგში ჩვენ მივაღწიოთ ახლო ხანში დადებით შედეგებს? ამ კითხვაზე ჩვენ მხოლოდ ერთი პასუხი შეგვიძლია მივცეთ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე უნდა მიემატოს ძალები, ზოგან უფრო მომზადებულები და საიმედონი უნდა გაიგზავნოს. თუ არ იქნა კარგი მომუშავე აპარატი, ხერხემალი საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისა, ისე შეუძლებელია საქმე წინ გავაქანოთ. ადგილებზე ამ დარგში ცოტა მომუშავენი გვყავს. ზოგან ამხანაგები ათასი სხვა და სხვა მოვალეობებით არიან დატვირთული. ასეთ პირობებში ძნელია დადებითი და ნაყოფიერი მუშაობის წარმოება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მიმდინარე წლიდან ცეკა საგიტაციო-საპროპაგანდო დარგსაც მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას. ეკონომიურ და პოლიტიკურ დაპყრობებს ჩვენ გავამაგრებთ ამ დარგში გაათასკეცებული ენერგიული მუშაობით.

ჩვენში, პარტიულ მუშაობის სხვა ამოცანათა შორის, ეხლავე უნდა გამოიკვეთოს უდიდესი ამოცანა აგიტაციის და პროპაგანდისა.

ჩვენი ყურადღების ცენტრი აქეთკენ უნდა გადავიტანოთ ეხლა. ყოველივე ამის შედეგათ ჩვენ მივიღებთ ისეთ გამარჯვებებს ამ დარგშიც. როგორიც მივიღეთ სხვა დარგებში მაშ გავამაგროთ აგიტაციის და პროპაგანდის ფრონტი, იდეოლოგიური ფრონტი!

კ. ორაგველიძე.

წის ძვრის მიზეზად დედა-მიწის გულის გაციებას სთვლის.

დედამიწის გული თანდათან ცივდება, ცივდება აგრეთვე მისი ქერქიც, მაგრამ გულის გაციების პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ქერქისა გაციების გამო მიწის შუაგული იკუმშება, მკვრივდება და პატარავდება. ქერქიც იმავე პროცესს განიცდის, მაგრამ უფრო ნაკლებად. ჩნდება შეუფარდებლობა დედამიწის გულსა და მის სამოსელს, ქერქს შორის ამის გამო გულსა და მას გარს შუა ჩნდება სიცარიელე, რომელიც თანდათან იზრდება. სიცარიელის ზევით მდებარე ქერქის ნაკვეთებს დასაყრდნობი ალაგი ეცლება, რაც იმათ ჩანგრევას, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, თანდათან დაბლა ჩაწევას იწვევს, რისგანაც დედა-მიწის ზედაპირზე ვეება ჩავარდნილი ადგილები ვითარდება: მაგრამ საქმე ჩავარდნილ ადგილების განვითარებით არ თავდება. ჩაწეული ნაკვეთი უზარმაზარ სოლივით ჩაერჭობა მეზობელ ნაკვეთებს შუა, წარმოუდგენელი ძალით აწვება მათ გვერდებიდან, იქით აქეთ სწევს, ავიწროვებს მათ. თუ ჩაწეული მიწის ნაკვეთი საკმაოდ დიდია, ვითარდება საშინელი ძალა, რომელიც მრისხანედ აამოქმედებს ხოლმე ვულკანსაც.

ნიადაგის დაწევა რომ ვულკანის მოქმედების ერთი მიზეზთაგანია, ამას ცხადჰყოფს იაპონიის დღევანდელი მიწის ძვრაც.

შევიწროვებული ნაკვეთები იკეცება, ვითარდება უზარმაზარი ნაოჭები, რომლებიც ჩვენ მთების სახით გვევლინებიან. თავის თავად ცხადია, რომ დედა მიწის ქერქის ნაკვეთების ჩაწევა და მათი დაკეცა დანაოჭება წარმოუდგენელი სიმძლავრით არყევს დედა-მიწის ზედა პირს და ანადგურებს სოფლებსა და ქალაქებს, იწვევს იმ თავზარდამცემ მოვლენას, რომელსაც მიწის ძვრას ვუწოდებთ.

ამგვარად მიწის ძვრა, ვულკანი და მთების წარმოშობა წარმოადგენს ბუნების სამ დიად მოვლენას, რომელთაც მჭიდრო ნათესავური კავშირი აქვთ ერთიმეორესთან. მათი ურთიერთშორის დამოკიდებულება ისეთი დიდი **და პირდაპირია, რომ ხშირად ძნელია იმის გამოკვლევა, თუ რომელი მათგანია მიზეზი და რომელი** შედეგი, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სამივე დასახელებული სტიქიონი ერთი მიზეზისგან იბადება, და ეს მიზეზი ის საშინელი სიცხეა, რომელიც დედამიწის გულში ტრიალებს. იაპონიაში მომხდარი მიწის ძვრა ტექტონიურია, იგი მიწის შინაგანი ფენების გადალაგებით არის გამოწვეული. ესაა მიზეზი იაპონიის სანაპირო მიდამოებში მომხდარ დიდ გეოგრაფიულ ცვლილებების. როგორც დეპეშები იტყობინებიან, ტოკიოს ყურე გაქრა, მის ალაგს ზღვის ფსკერი ამოიზნიქა და დასაწყისი მიეცა ორი ახალი დიდი კუნძულის არსებობას ხოლო ზღვის წყალმა, რომელიც ამოზნექილმა ზღვის ფსკერმა გადალვარა, დაფარა მახლობლად მდებარე კუნძულები. ახალ ახალი კუნძულების გაჩენა იწვევს ხმელეთის ნაპირებისაკენ წყლის დიდ მოძრაობას, რომელსაც თან სდევს საშინელი ქარიშხალი და ქარბუქი.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

იტალია-საბერძნეთის დამოკიდებულების საკითხი კვლავ გამოურკვეველია, თუმცა ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ კონფლიქტის კრიტიკულმა პერიოდმა უკვე განვლო.

ერთა ლიგას კონფლიქტმა სრულიად გაუტეხა სახელი. იტალიის მოთხოვნილების შესრულებამ, რომ კონფლიქტი არ განეხილა ლიგას, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ლიგის მომხრე წრეებში. ნეიტრალური სახელმწიფოები აცხადებენ, რომ გამოვლენ ლიგიდან.

ერთა ლიგის სესიის სხდომაზე იაპონიის დელეგატმა განაცხადა, რომ ლიგას არ ექნება საკმაო ავტორიტეტი, სანამ მასში არ არიან რუსეთის და გერმანიის დელეგატებიო.

იტალიაში

მუსოლინი თავისას განაგრძობს.

რომში. 7 სექტემბერი. მუსოლინი მტკიცეთ განაგრძობს თავის პროგრამის შესრულებას და ყურადღებას არ აქცევს ჟენევასა და პარიზში მომხდარ საერთაშორისო მოლაპარაკებას. დაკავებულია მთელი კორფუს არქიპელაგი. იტალიის ჯარებმა დაიკავეს მეორე ხარისხოვანი კუნძულები, სამოფრაკითურთ.

რა სურს იტალიას

საბერძნეთის პასუხი არადამაკმაყოფილებლათ არის ცნობილი.

ბორდო. 5 სექტემბერი. ერთა კონფერენციის სხდომაზე პარიზში განხილული იყო საბერძნეთის მთავრობის პასუხი. საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბერძნეთი მზათ არის შეასრულოს იტალიის ყველა მოთხოვნილებები, თუ დამტკიცებული იქნება საბერძნეთის პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის. საბერძნეთის მთავრობა წინადადებას იძლევა დაარსებულ იქნეს საგამომძიებლო კომისია, რომელშიაც უნდა შევიდენ იმ სამი სახელმწიფოს დელეგატები, რომელნიც წარმოდგენილნი არიან ალბანეთის საზღვრების გამომრკვევ კომისიაში. საბერძნეთის პასუხი დაუკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი.

საბერძნეთში

კონფლიქტის გამოძახილი.

ბერლინი 7 სექტემბერი. **რევოლუციის საფრთხე საბერძნეთში დღითი დღე იზრდება, საბერძნეთის ხალხის სასოწარკვეთილების გამო. რევოლუციონერები ეწევიან ენერგიულ აგიტაციას და დიდ გავლენას ახდენენ არმიასა და ფლოტზე რომელზედაც მთავრობას აღარ შეუძლია დაეყრდნოს.**

ერთა ლიგის შუამავლობა

მცირე იმედი აქვთ მდგომარეობის გამოსწორების.

ლონდონი. 6 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გუშინ—ღამით, პოლიციამ შეიტანა წინადადება, რომელსაც შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება, წინადადება ასეთია: 1) ლიგის საბჭომ უნდა დანიშნოს ერთი ან ორი წარმომადგენელი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს საბერძნეთში წარმოებულ იურიდიულ გამოძიებას, და მონაწილეობა მიიღოს იტალიის მისიის წევრთა მკვლელობაში მონაწილეთა გასამართლებაში; აღნიშნული წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე იმ კომისიის მუშაობაში, რომლის შედგენაც საბერძნეთის მთავრობამ მოითხოვა ელჩთა კონფერენციაზე ეს კომისია აწარმოებს გამოძიებას, როგორც ალბანეთში, ისე საბერძნეთში იმ გარემოებათა გამოსარკვევათ, რომელშიაც მკვლელობა მოხდა. 2) ერთა ლიგის საბჭო ადგენს კომისიას საბერძნეთის, იტალიის უმაღლეს იურიდიულ ავტორიტეტების და ნეიტრალურ სახელმწიფოს, როგორც მაგ. შვეიცარიის ფედერალურ სასამართლოს თავმჯდომარის ან ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალის თავმჯდომარის შემადგენლობით, იმ მიზნით, რათა ეს კომისია რაც შეიძლება სასწრაფოდ შეიკრიბოს ჟენევაში და დააწესოს ანაზღაურების ის თანხა, რომელიც საბერძნეთმა სამართლიანად უნდა გადაიხადოს დახოცილ პირთა ოჯახების სასარგებლოთ. 3) ერთა ლიგის საბჭო თანახმაა, რომ 50 მილ. იტალ. ლირა—კომპენსაციის გარანტია, შეტანილ იქნეს „შვეიცარიის ბანკის“ ხარჯზე.

ელჩთა კონფერენციის პასუხი საბერძნეთის ნოტაზე.

ლონდონი. 6 სექტემბერი. ელჩთა კონფერენციამ პარიზში განიხილა დღეს საბერძნეთის ნოტა და გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „ელჩთა კონფერენციამ მიიღო მხედველობაში საბერძნეთის განცხადება იმის შესახებ, რომ ის კისრულობს გაიღოს ისეთი კომპენსაცია, როგორსაც სამართლიანად ჩასთვლის ელჩთა კონფერენცია და რომ საბერძნეთის მთავრობა წინადადებას იძლევა შედგენილ იქნეს საგამომძიებლო კომისია საზღვრების გამომრკვევ კომისიის შემადგენლობაში შემავალ სამ სახელმწიფოს წარმომადგენელთა შემადგენლობით და ამ საგამომძიებლო კომისიას დაევალოს მხარეების დანაშაულობის გამორკვევა. ელჩთა კონფერენცია ემყარება რა საერთაშორისო უფლების პრინციპებზე, რომლის თანახმად პასუხისმგებელია ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე მოხდა ბოროტმოქმედება და შეურაცხყოფა, გადადვა გამოძიების წესრიგის განხილვაზე კონფერენციის შემდეგი სხდომა გაიმართება არა უგვიანეს პარასკევისა. ამ დადგენილების ტექსტი დაუყოვნებლივ ეცნობა ერთა ლიგის, სეკრეტარიატს.

ერთა ლიგის მერყეობა.

პარიზი. 7 სექტემბერი. ფრანგული პრესა კომენტარიებს უკეთებს ერთა ლიგის და ელჩთა კონფერენციის სხდომებს „ეკოდეპარი“ ერთმანეთს უპირდაპირებს ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტათა მიღების სისწრაფეს ერთა ლიგის მერყეობას. გაზეთი ამბობს: „ერთა ლიგა, როგორც ჩანს, საგონებელში ჩავარდა, რადგან, ეშინია წინააღმდეგობაში არ ჩავარდეს ელჩთა კონფერენციისადმი, რომელიც ერთა ლიგის წევრთა თვალში ითვლება კონფლიქტის მშვიდობიანად გადამწყვეტ ერთად ერთ ორგანოთ“ მატენი ამბობს, რომ საფრანგეთი არ მოისურვებს, რათა ერთა ლიგის პრესტიჟი და ავტორიტეტი შეილახოს კონფლიქტის გამო.

ერთა ლიგის გადაწყვეტილება.

ლონდონი. 7 სექტემბერი. ლონდონში ჯერ კიდევ არ არის მიღებული ცნობები ერთა ლიგის საბჭოს საღამოს სხდომის შესახებ ჟენევაში. პრესის ცნობებით, ერთა ლიგის საბჭომ, სალანდრის თანადასწრებით, დაავალა ელჩთა კონფერენციას იმოქმედოს მატერიალურ დაკმაყოფილების მხრივ, რომელიც უნდა მისცეს საბერძნეთის მთავრობამ. ეს დაკმაყოფილება უნდა დაედვას საფუძვლათ შეთანხმებას. საკითხის ამ ნაწილის მოგვარება, როგორც ცნობილია, თავს იდვა ელჩთა კონფერენციამ, რომელსაც დამოკიდებულება ჰქონდა ამის შესახებ საბერძნეთის მთავრობასთან და რომელმაც თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო დადგენილება ამ საკითხის შესახებ.

ერთა ლიგის სესია.

ჟენევა. 5 სექტ. 3 სექტემბერს გაიხსნა ერთა ლიგის სესია, რომელზედაც ლიგის თავმჯდომარემ, იაპონიის დელეგატმა იშიმ განაცხადა, რომ ლიგას ცოტა მნიშვნელობა ექნება მანამდის, სანამ მასში არ შევლენ ამერიკა, გერმანია, რუსეთი და მცირე სახელმწიფოები. იტალიის წარმომადგენელმა წინადადება მიიღო არ დაესწროს ლიგის მიერ იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის განხილვას.

ერთა ლიგის გაკოტრება.

პარიზი 5 სექტემბერი. **ერთა ლიგის უძლურებამ, რომელიც ნათლად გამოაშკარავდა იტალია-საბერძნეთის კონფლიქტში, მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ლიგის მომხრეებზე სოციალ-რადიკალებზე.** რადიკალები სცდილობენ გადაარჩინონ ლიგის პრესტიჟი და ბრალს სდებენ საფრანგეთს ლიგის დაშლაში, რომელიც გამოწვეულია მუსოლინისათვის მხარის დაჭერით. შესაძლებელია კონფლიქტის გადაწყვეტა მიენდოს ელჩთა კონფერენციას.

პარიზის გაზეთების ჟენევის კორესპონდენტები იტყობინებიან ლიგის კრიზისის შესახებ, რადგან მცირე სახელმწიფოები იმუქრებიან, რომ ისინი გამოვლენ ლიგიდან იმ შემთხვევაში, თუ ლიგა უარს იტყვის იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის გადაწყვეტაზე

საბერძნეთის დელეგატმა პოლიტისმა განაცხადა, რომ იტალიის მიერ უარის თქმა კონფლიქტის გადაწყვეტის ლიგისთვის გადაცემაზე დაღუპვამდის მიიყვანს ამ უკანასკნელს. პოლიტისის სიტყვებით, საბერძნეთს არ სურს მიმართოს იარაღს, მაგრამ გამოურკვეველია რა მოხდება, თუ მდგომარეობა გამწვავდება.

საბერძნეთი ცდილობს საქმე მშვიდობიანათ გაათავოს.

ვენა 5 სექტემბერი. საბერძნეთის წარმომადგენელმა ერთა ლიგის საბჭოში გამოაქვეყნა საბერძნეთის მთავრობის ახალი წინადადებები იმის შესახებ, რომ დანიშნული იქნეს ნეიტრალური კომისია, რომელმაც კონტროლი უნდა გაუწიოს გამოძიებას იტალიის მისიის წევრების მკვლელობის შესახებ. საბერძნეთი მოითხოვს კომისიაში დანიშნული იქნენ იტალიის, საბერძნეთის და ნეიტრალურ სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომლებმაც მოკლე დროის განმავლობაში უნდა განსაზღვრონ დაღუპულთა ოჯახებისათვის მისაცემ თანხის რაოდენობა. იტალიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მან უნდა დაუცადოს თავის მთავრობის ინსტრუქციებს.

იტალია თავისას არ იშლის.

ვენა. 5 სექტემბერი. იტალიის მთავრობა არ სცნობს ერთა ლიგის კომპეტენციას იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის გადაწყვეტის საქმეში და აცხადებს, რომ არავის არ აქვს უფლება ჩაერიოს იტალიის მიერ თავის ნაციონალურ ღირსების დაცვის საქმეში. ერთა ლიგის წესდების 1-ლი მუხლი არ შეეფერება ეხლანდელ მდგომარეობას, რადგან ომის საშიშროება ამჟამათ არ არსებობს.

გარბიან ერთა ლიგიდან.

ვენა. 5 სექტემბერი. სკანდინავიის ქვეყნებმა გადასწყვიტეს გავიდენ ერთა ლიგიდან იმ შემთხვევაში, თუ ლიგა უარს იტყვის კონფლიქტში ჩარევაზე.

იტალიის გამარჯვება.

რომი. 7 სექტემბერი. ერთა ლიგის გუშინდელ გადაწყვეტილებას, იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის განხილვის კიდევ ერთი დღით გადადების შესახებ, რომში იტალიის გამარჯვებათ სთვლიან და მას მიაწერენ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა მუსოლინის განცხადებამ ერთა ლიგის შემადგენლობიდან იტალიის გამოსვლის შესახებ, თუ ლიგა ჩაერევა იტალია-საბერძნეთის კონფლიქტში.

რომში იმედი აქვთ, რომ გამონახული იქნება კონფლიქტს მეგობრულად გადაწყვეტის საშუალება და საჭირო აღარ იქნება ერთა ლიგის ზეგავლენა იტალიაზე.

ერთა ლიგის კონფერენციის გადაწყვეტილება გამოძიების დაჩქარების შესახებ, სასურველად მიაჩნიათ იტალიაში, რადგან ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო უფრო ადრე, ვიდრე ერთა ლიგა გამოიტანდა რაიმე გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში ერთა ლიგას, არ ამცირებს რა იგი თავის ღირსებას, შეუძლია დამშვიდებით დაიბანოს ხელები, რადგან მეორე საერთაშორისო ორგანომ უკვე გამოსთქვა თავისი აზრი ამის შესახებ.

ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილება

რომი. 7 სექტემბერი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ დღეს დილით ელჩთა კონფერენციამ მიიღო შემდეგი დადგენილება:

1) საბერძნეთი თავს იდებს ყველა სებარაციებს, რომელსაც საჭიროდ დაინახავს ელჩთა კონფერენცია.

2) საბერძნეთის მთავრობის წინადადებით, არსდება საგამომძიებლო კომისია, რომელიც შესდგება ალბანეთ-საბერძნეთის საზღვრების გამომრკვევ კომისიის მონაწილე სახელმწიფოების 3 წარმომადგენლისაგან, ამასთანავე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოების პასუხისმგებლობა პოლიტიკურ დანაშაულისათვის, რომელიც მოხდა მათ ტერიტორიაზე—არის საერთაშორისო უფლების ძირითადი პრინციპი.

3) დაუყოვნებლივ შეუდგენ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების ზომების განხილვას.

კონფერენციის შემდეგი სხდომა გაიმართება არა უადრეს პარასკევისა.

ელჩთა კონფერენციის დადგენილება დაუყოვნებლივ ეცნობა ერთა ლიგას.

მოკავშირეების პოზიცია

ინგლისი მოუწოდებს იტალიას კანონიერებისაკენ.

ლონდონი 6 სექტემბერი. ლონდონის წრეებიდან მიღებულ ცნობებით, ბრიტანეთის მთავრობა ცდილობს ისე მოაწესრიგოს კონფლიქტი, რომ არც ერთი ქვეყანა არ დარჩეს შეურაცხყოფილი. ბრიტანეთის მთავრობას აზრათაც არ მოსვლია ჩადენილ ბოროტმოქმედების სიმძიმის დამალვა, მაგრამ იგი ხაზგასმით იმეორებს რომ იტალიის ინტერესები განმტკიცებული იქნება კანონიერ გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებით. ბრიტანეთის მთავრობა აღიარებს, რომ საკითხის მოწესრიგება ერთა ლიგის კომპეტენციაში შედის.

ინგლისი და საფრანგეთი—თავისი მოკავშირის წინააღმდეგ.

ბერლინი. 6 სექტემბერი. ლორდ კერზონმა აცნობა იტალიის ელჩს **ლონდონში, რომ ბრიტანეთის მთავრობა სრულის თანხმობით საფრანგეთთან, გადასწყვიტა ენერგიულათ დაიცვას ერთა ლიგის კომპეტენცია და ავტორიტეტი იტალია საბერძნეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში.**

ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრი მხედველობაში იღებს საფრანგეთ-იტალიის გაერთიანებულ მოქმედებების შესაძლებლობას, იტალიელების მიერ კორფუს ევაკუაციის განსახორციელებლათ.

ინგლისის კრეისერი კორფუში.

ვენა. 5 სექტემბერი. კორფუში მივიდა ინგლისის კრეისერი. ინგლისის საამირბაროს პირველი ლორდი ემერი გაემგზავრა მალტაში, სადაც იმყოფება ინგლისის ხმელთა შუა ზღვის ფლოტის მთავარი სარდლობა.

მცირე ანტანტა და კონფლიქტი

სამხრეთ-სლავია ერევა კონფლიქტში.

ბორდო. 5 სექტემბერი. **სამხრეთ სლავიის პრესის აზრით, ერთა ლიგა ვერ შეძლებს იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის მოგვარებას და სამხრეთ სლავია იძულებული იქნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის გადაჭრაში**

სამხრეთ სლავიის პოზიცია

ვენა. 5 სექტემბერი. ბელგრადის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ სამხრეთ-სლავია დაუცდის ერთა ლიგის გარკვეულ გადაწყვეტილებას.

ემუქრებიან იტალიას

ბერლინი. 6 სექტემბერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობით, სამხრეთ სლავიის მთავრობას განზრახული აქვს მიემხროს საფრანგეთ-ინგლისის გაერთიანებულ მოქმედებებს იმ შემთხვევაში, თუ ერთა ლიგა ვერ შესძლებს განახორციელოს კორფუს განთავისუფლება იტალიელებისაგან. მეორეს მხრით, იუწყებიან, რომ სკანდინავიის სახელმწიფოები ერთა ლიგიდან გამოსვლით იმუქრებიან იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ მოაგვარებს იტალია-საბერძნეთის კონფლიქტს.

ლონდონი. 6 სექტემბერი. ბელგიისა და ბალკანეთის სახელმწიფოების დელეგატები ერთა ლიგაში მხარს უჭერენ საბერძნეთის წინადადებას.

პრესა კონფლიქტის შესახებ

ვენა. 5 სექტემბერი. პრესაში გრძელდება საბერძნეთ იტალიის პოლემიკა. იტალიის პრესა ცდილობს გაამართლოს კორფუს დაკავება საერთაშორისო სიმართლის ძალით. საბერძნეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბერძნეთს არაფერი საერთო არ აქვს მკვლელობასთან, ის მიისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ და ცდილობს მოიპოვოს ერთა ლიგის ნდობა.

გერმანიის ამბებ

საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა თანაგრძნობით შეხვდა შტრეზემანის წინადადებებს.

„ლ. იუმანიტე“ შტრეზემანის წინადადებებს სთვლის „გერმანიის ფრანგ კაპიტალისტების მსხვერპლად შეწირვათ“.

მიუხედავათ გილფერდინგის ფინანსიური ღონისძიებებისა, მარკა კვლავ ეცემა. დოლარი 21-22 მილიონი ფასობს.

ბავარიაში გაიმართა ფაშისტების დღესასწაული, რომელსაც დაესწრნენ გენერალი ლიუდენდორფი და რეაქციის სხვა ბურჯები.

რეაქციის დღესასწაული.

ბერლინი. 5 სექტემბერი. გერმანელ და ავსტრიელ ფაშისტების წარმომადგენლებისა, გენერალ ლიუდენდორფისა, პრინც ლეოპოლდ ბავარიელისა, ჰერცოგ კობურგელისა, გიტლერისა და სხვათა თანადასწრებით, ზეიმით იქნა ნადღესასწაულები ფაშისტური დღე ლიუდენდორფმა განაცხადა, რომ გერმანიაში აუცილებელია ნაციონალისტური რევოლიუცია. ადმირალი შეიერი მოითხოვდა გერმანიის ფლოტის აღდგენას ბავარიის მთავრობამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებათ ნიურემბერგში გაგზავნა ბავარიის პოლიციის დიდი რაზმი ეს გამოწვეულია იმით, რომ ბერლინის მთავრობამ აღკრძალა რეიხსვერის მონაწილეობა დღესასწაულში სალამოს შეტაკება მოხდა ფაშისტებსა და მუშებს შორის მოკლულია ერთი ფაშისტი, დაჭრილია ორი. მუშებს შორისაც არის მსხვერპლი.

გერმანიის კომპარტიის საიდუმლო პარტეიტაგი.

ბერლინი. 5 სექტემბერი. ჰეტინგენში, მუშების დაცვის ქვეშ, შესდგა გერმანიის კომპარტიის საიდუმლო პარტეიტაგი, რომელიც აღკრძალული იყო მთავრობის მიერ ვიურტემბერგში. მოხსენებით თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ერმსმეიერი. კამათის შემდეგ ერთხმათ მიღებულ იქნა პარტიის საოლქო პრეზიდიუმის რეზოლიუცია.

პურის ბანკნოტების შემოღება.

ბერლინი. 6 სექტემბერი. მარკის კურსის განუწყვეტელ დაცემის გამო მთავრობის წრეებში იხილავენ ჰელფერიხის გეგმას პურის ბანკნოტების შემოღების შესახებ, რისთვისაც დაარსებული უნდა იყვეს საემისიო ბანკი, რეიხსბანკის მონაწილეობით.

შეკავშირებული წინააღმდეგობის გაწევა ახალ საგადასახადო კანონისათვის.

ბერლინი. 6 სექტემბერი. ახალი საგადასახადო კანონის ყველაზე უფრო უძლიერესი მოწინააღმდეგეა ჩრდილოეთ გერმანიის მემამულეთა კავშირი. საქსონის მემამულეები გვერდს უვლიან ახალ კანონს. ბავარიაში ზოგიერთი ორგანიზაციები დემონსტრაციას აწყობენ ახალი კანონის წინააღმდეგ და აღნიშნავენ, რომ მისი გატარება ეკონომიკისა და ბურჟუაზიულ წესწყობილების კრახს მოასწავებს.

კატასტროფა ახლოა.

ბერლინი. 6 სექტემბერი. დოლარის არა ოფიციალური კურსი უდრის 22 ნახ. მილ. მარკას. ფასები საშინელი სისწრაფით იზრდება. რეიხსბანკი იძულებულია ხელახლა შეავსოს თავის ოქროს დეპოზიტები უცხო ბანკებში. 11 სექტემბრიდან რკინისგზის ტარიფები კვლავ მეტათ გადიდდება.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარეშე

საბჭოთა კავშირი და ინგლისი.

ლონდონი. 5 სექტემბერი „დეილი ხრონიკლი,“ ფირმა „ბეკოს“-ის რუსეთიდან დაბრუნებულ წარმომადგენელების ცნობის მიხედვით, აღნიშნავს, რომ **შესაძლებელია სავაჭრო ურთიერთობის გაფართოვება რუსეთთან.** ინტერვიუში, რომელიც მოთავსებულია „დეილი გერალდ“-ში მუშათა პარტიის ბელადმა კლაინსმა განაცხადა, რომ ინგლისისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ამ ჟამად კომერციული დაახლოვება რუსეთთან, გერმანიასთან და ჩეხოსლოვაკიასთან. „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ინგლისის ინდუსტრიის მომავალი ისეა დაკავშირებული რუსეთთა ვაჭრობის განახლებასთან, რომ ამ განახლების იმედიც სიხარულს იწვევს.

ვრანგელის კუნძულის გარშემო.

მოსკოვი. 7 სექტემბერი. მოსკოვში მყოფი ინგლისის აგენტის მოადგილე საგარეო საქმეთა კომისრის სახელობაზე გადაცემულ ნოტაში, ვრანგელის კუნძულზე ინგლისის ექსპედიციის შესახებ, აღნიშნავს რომ კაპიტან ნოისის ექსპედიცია კერძო თაოსნობაა, რომელიც მოაწყო სტეფანსონმა კანადისა და მის თანამგზავრთა მისაშველებლად ექსპედიციაში არ აღძრულა საკითხი, თუ ვის ეკუთვნის კუნძული.

ს. ს. რ. კ. საგარეო საქმეთა კომისრის პასუხი.

მოსკოვი. 7 სექტემბერი. საგარეო საქმეთა კომისარი ინგლისის მიმართ, საპასუხო ნოტაში, აღნიშნავს: მხედველობაში ვღებულობთ ინგლისის მთავრობის ცნობას და არა გვსურს დაბრკოლება შევუქმნათ სამეცნიერო ექსპედიციის დახმარებას, მაგრამ ს. ს. რ. კ. მთავრობა მაინც იძულებულია განაცხადოს, რომ ექსპედიციის მოწყობა ვრანგელის კუნძულზე, როგორც საერთოდ ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე უნდა ხდებოდეს საკავშირო რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით.

საბჭოთა კავშირი და იაპონია.

მოსკოვი 5 სექტემბერი ბანკეტზე იაპონიის დელეგაციის წევრებმა განუცხადეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებს, რომ ისინი არ აჩენენ დაბრკოლებებს ნორმალური ურთიერთობის აღდგენისათვის იაპონიას და რუსეთს შორის. **იაპონიის ახალი მთავრობა უსათუოდ მხარს დაუჭერს ორთავე სახელმწიფოს დაახლოვების იდეას იაპონიის წარმოდგენა საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს დელეგაციის წევრების შეხედულება დახმარებას გაუწევს ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლებას.**

ფიუმეს საკითხი

იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის დამოკიდებულება ფიუმეს საკითხის გამო გამწვავდა.

იტალია მოითხოვს სამხრეთ-სლავიისაგან ფიუმეს საკითხის შესახებ პასუხს 15 სექტემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ფიუმეს და ბაროშის ნავთსადგურთ ანექსიით ემუქრება.

ლონდონში ფიქრობენ, რომ ფიუმეს საკითხი უფრო მეტ გართულებას გამოიწვევს, ვიდრე კორფუს დაკავებას.

ახლოვდება ქარიშხალი

ვენა. 5 სექტემბერი. „პრაგერ ტაგებლატის“ ბელგრადის კორესპონდენტი ავტორიტეტულ პირის სიტყვით იტყობინება, რომ **იტალიის მიერ სამხრეთ-სლავიისათვის წაყენებული მოთხოვნილება გამოიხატება ფიუმეს ანექსიაში, რაც აიძულებს სამხრეთ-სლავიას მიმართოს ერთა ლიგის შუამავლობას.**

ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა“ სწერს: „**იტალიამ დაიკავა სამხრეთ-სლავიისადმი ისეთი პოზიცია, რომელსაც შეუძლია ქარიშხალის გამოწვევა: უფრო ძლიერის, ვიდრე საბერძნეთ იტალიის კონფლიქტია**“.

იტალია შეურაცყოფს სამხრეთ-სლავიის ღირსებას

ვენა. 5 სექტემბერი. ბელგრადის მემარცხენე გაზეთი „პოლიტიკა“ ადასტურებს ცნობას იმის შესახებ, რომ იტალიას შესაძლებლად მიაჩნია გადასჭრას საკითხი ფიუმეს და ნავთსადგურის ბაროშის შესახებ ანექსიის სახით, ულტიმატიურად მოითხოვს საკითხის 15 სექტემბრამდე გადაჭრას „პოლიტიკა“ პროტესტს აცხადებს სამხრეთ-სლავიის ნაციონალურ ღირსების შეურაცხყოფის წინააღმდეგ. სამხრეთ - სლავიის მინისტრთა საბჭო აცხადებს, რომ თავისუფალ სახელმწიფოს ხელშეუხებლობის დაცვა ფიუმეში არის აუცილებელი პირობა ხანგრძლივი მშვიდობიანობისა ადრიატიკის ზღვაზე და იხილავს ზომებს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული იმ შემთხვევაში, თუ იტალია დამოუკიდებლად იმოქმედებს ფიუმეში.

ფიუმეს საკითხის გადაჭრა.

ვენა. 5 სექტ სამხრეთ-სლავიის მთავრობა არაფერს არ ლაპარაკობს ფიუმეს საკითხის გადაჭრის შესახებ, მაგრამ იტალიის წყაროებიდან მიღებულ ცნობებიდან ჩანს, რომ პარიტეტულმა კომისიამ მიიღო ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს იტალიის მოთხოვნილებას. ფიუმეს მმართველობა ერთი წლით იქნება პარიტეტული კომისიის ხელში, რის შემდეგ მმართველობის საკითხს გადასჭრის ერთა ლიგა, ბაროში ნავთსადგურის ნაწილი გადაეცემა სამხრეთ სლავიას. ხორვატიის და სლოვენსკის პრესას ფიუმეს საკითხი გადაჭრილად მიაჩნია.

კიდევ მეტი კონფლიქტი.

ლონდონი. 7 სექტემბერი. **იტალიის კონფლიქტის სამხრეთ-სლავიასთან ფიუმეს გარშემო ლონდონის წრეებში უფრო ხანგრძლივად სთვლიან, ვიდრე კონფლიქტს საბერძნეთთან კორფუს დაკავების გამო.**

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი

ოსმალეთის კაბინეტის შემადგენლობა

სტამბოლი 4 სექტემბერი. სტამბოლის გაზეთები აქვეყნებენ ოსმალეთის ახალი კაბინეტის წევრების სიას: ფეხტი-ბეი-თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა კომისარი, მუსა-ქიაზ მ ეფენდი-სარწმუნოების საქმე, სეიდ-ბეი იუსტიცია, ისმეტ ფაშა-საგარეო საქმეთა, სეფა-ბეი სახალხო განათლების, ჰასან-ფეხმი ბეი-ფინანსების, მახმუდ-ესსად-ბეი-სახალხო მეურნეობის, ფეიზი-ბეი-საზოგადოებრივ სამუშაოების, ექიმი რიზა-ნურ-ბეი-ჯანმრთელობის, ფევზი-ფაშა-გენერალურ შტაბის უფროსი.

სახალხო ენერგიის წყაროებთან.

სტამბოლი. 4 სექტემბერი ოსმალეთის დიდი ეროვნულ კრების ვიცე-თავმჯდომარემ ალიფუად ფაშამ სტამბოლის გაზეთების კორესპონდენტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ყოველთვის იმ მომენტებში, როდესაც ოსმალეთის ეროვნულ საქმეს სერიოზული საფრთხე მოელოდა, ქემალისტები თავის ძალებს ახვეინებდენ ქვეყნის შუა გულში, სახალხო ენერგიის წყაროებისაკენ და იქ მათი სისუსტე ძლიერებათ იქმნებოდა ხოლმე. გადაწყვეტილება ანკორის სატახტო ქალაქათ დატოვების შესახებ აიხსნება, უმთავრესათ, სურვილით განმეორებულ იქნას ეს ცდა სამოქალაქო აღმშენებლობაშიც. ამას გარდა ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებას სურს საშუალება მისცეს გლეხებს დაესწრონ მის კრებებს, რომლებიც, როგორც შენიშნულია, ძალიან აინტერესებთ გლეხებს ამ უკანასკნელ დროის განმავლობაში.

რაუფ-ბეი.

სტამბოლი. 4 სექტემბერი. „იკდამ“-ს სიტყვებით, ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე რაუფ-ბეი გაემგზავრა სმირნაში შვებულებაში და უარი განაცხადა [illegible] თანამდებობაზე, რომელიც მას [illegible] რაუფ-ბეის გადადგომა მოხდა იმის გამო, რომ ის არ ეთანხმებოდა ისმეტ-ფაშას.

სხვადასხვა

დანია.

დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა.

კოპენჰაგენი. 3 სექტემბერი ოდენზეში გაიხსნა დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-19 ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილია 952 კავშირი. მე-2 ინტერნაციონალიდან წარმომადგენლებად არიან: ინგლისისა—ტომას შოუ გერმანიისა, შვეციისა, ნორვეგიისა და საფრანგეთის დელეგატები.

შვეცია.

სოციალ-დემოკრატია ხელს იბანს.

სტოკჰოლმი 3 სექტემბერი. რეიხსტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ წინადადება მისცა მთავრობას დაუყოვნებლივ მოიწვიოს რეიხსტაგის საგანგებო სხდომა საბინაო საკითხის გამწვავების გამო, რადგან ეს საკითხი საბედისწეროა შვეციისათვის, მით უმეტეს, რომ ბინების განთავისუფლების ვადა არის 1 ოქტომბერი. ქალაქის გამგეობის სოციალ დემოკრატმა ხმოსნებმა მხარი არ დაუჭირეს კომუნისტების მოთხოვნილებას საგანგებო სხდომის მოწვევის შესახებ.

საზღვაო სამინისტროს შუამდგომლობა.

სტოკჰოლმი. 3 სექტემბერი. შვეციის საზღვაო სამინისტრო მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა მან გადასდოს 42,000,000 კრონი ახალი გემების ასაგებად.

შვეიცარია.

მუშათა კლასის ხარჯზე

ბერლინი. 3 სექტემბერი. ამ უკანასკნელ წლებში, შვეიცარიის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა. უმუშევართა რიცხვი 100,000 დან 20,000 დავიდა. ეს გაუმჯობესება უმთავრესად მუშათა კლასის ხარჯზე მოხდა, რომლის ხელფასმაც, ომის წინა დროსთან შედარებით 25—40 პროცენტით იკლო.

ჩეხო-სლოვაკია.

თეთრგვარდიელები მთავრობის სათავეში.

პრაგა. 3 სექტემბერი. ნაციონალ-დემოკრატიული გაზეთები კმაყოფილებით იუწყებიან, რომ ამ მოკლე ხანში სამხედრო მინისტრის მოადგილედ დაინიშნება გაიდი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ—სიროვოი, რესპუბლიკის პრეზიდენტის სამხედრო კანცელარიის გამგეთ—ჩეჩეკი. ეს სამივე გენერალი დიდ როლსა თამაშობდნენ ციმბირში კოლჩაკის დროს.

სტინესი ბადეს ისვრის.

პრაგა. 3 სექტემბერი. ჩეხო-სლოვაკიაში დიდს მღელვარებას იწვევს სტინესის პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოსაგან დაბალი ვალიუტით იძენს წარმოებებს და ჩეხო-სლოვაკიის თავისი სამრეწველოების რკალში უპირებს მოქცევას. რადგანაც ჩეხო-სლოვაკიაში შესვლა არ შეუძლიან, სტინესს გერმანიაში გადააქვს თავისი უმთავრესი წარმოებანი და დიდის მასშტაბით აწყობს ჩეხის მუშების ემიგრაციას. ჩეხის აგრართა პარტიის ორგანო სწერს. ჩეხო-სლოვაკიის ეკონომიური დამოუკიდებლობა საფრთხეშია გერმანიის კაპიტალის მხრივ, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა ბრძოლა. მხოლოდ გერმანიის ვალიუტის სტაბილიზაცია თუ მოუღებს ბოლოს სტინესის გავლენას.

იტალია.

მუსოლინი დირექტივებს აძლევს გაზეთებს.

რომი. 3 სექტემბერი. მუსოლინიმ ფაშისტურ გაზეთების რედაქტორებს განუცხადა, რომ ფაშისტური გაზეთების დანიშნულებაა—თვალყური ადევნონ ფაშიზმის მტრებს ცენტრში და ხმა აიმაღლონ ფაშისტების შორის პირადი ნიადაგზე უთანხმოების წინააღმდეგ.

პოლონეთი.

მემარცხენე ფეიქართა გამარჯვება.

ვარშავა. 5 სექტემბერი. ფეიქართა არჩევნებზე ლოძში მემარცხენე ოპოზიციამ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა და მიიღო ყველა 22 მანდატი. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ არჩევნები გააბათილა. ხელმეორე არჩევნები მეორე დღისათვის დაინიშნა.

პოლონეთის ახალი კაბინეტი.

ვარშავა. 5 სექტ. პოლონეთის ახალი კაბინეტი შეუდგა მუშაობას. პრესა ფიქრობს, რომ მარტო გადასახადებით შეუძლებელია ფინანსიური ჩიხიდან გამოსვლა აუცილებელია სესხი დეფიციტის დასაფარავად და ემისიის შესამცირებლად

პოლონეთი ეარშიყება მუსოლინს.

ვარშავა. 5 სექტემბ. პოლონეთის მთავრობამ მუსოლინი დააჯილდოვა „თეთრი არწივის“ ორდენით.

პროვოკაციაში ხვევენ მუშათა კლასს.

ვარშავა 5 სექტემბერი. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკ“-ი აღნიშნავს, რომ, კაბინეტის გადახალისებასთან დაკავშირებით, ძლიერდება ენდეკების გავლენა. შრომის მინისტრის თანამდებობაზე ქრისტიანული დემოკრატის სმულსკის დანიშვნა წარმოადგენს მუშათა კლასის უმრავლესობისათვის პროვოკაციას, ფინანსთა მინისტრის კუხარსკის დანიშვნის გამო გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, უცხოეთის სესხი შეჰპირდენ მხოლოდ ამ პირობით. კაბინეტის ცვლილება შეასუსტებს ვიტოსის გავლენას კაბინეტში.

პოლონეთის საფეიქრო მრეწველობის კრიზისის მიზეზი.

ვარშავა. 5 სექტემბერი. საფეიქრო მრეწველობის შემცირება გამოწვეულია ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნილებით, რათა მრეწველებმა დააბრუნონ სესხი არა ნომინალური, არამედ ფაქტიური ღირებულებით, რაც მრეწველებს უკარგავს კოლოსალურ სარგებელს კურსის დაცემის გამო. ვარშავაში ჩავიდა პროფკავშირთა დელეგაცია, რომელმაც მოსთხოვა მთავრობას იძულებითი ზომების მიღება ფაბრიკანტების წინააღმდეგ, რომლებიც იწვევენ უმუშევრობას ლოკაუტის და ფაბრიკების ხშირი დახურვის გზით.

საფრანგეთი.

კომუნისტები მტკიცეთ ატარებენ თავიანთ ხაზს.

პარიზი 5 სექტემბერი. მუშათა უნიტარულმა პროფკავშირმა ამაოდ სცადა საგაზო საზოგადოების დირექციასთან შეხვედრა, პარიზის საგაზო ქარხნებში გაფიცვის ლიკვიდაციის მიზნით. განცხადებების საპასუხოდ, ქალაქის სათათბიროს კომუნისტ-ხმოსნები აღნიშნავენ, რომ გაფიცვა დამთავრდება დათხოვნილ მუშების სამსახურში მიღების შემდეგ.

მექსიკის ცნობა.

პარიზი 5 სექტ. საფრანგეთმა შეკითხვა მისცა მექსიკას, მისაღებია თუ არა მისთვის, ელჩის სახით, ბოლონდელი, საფრანგეთის ეხლანდელი ელჩი ლონდონში. ეს ნიშნავს საფრანგეთის მიერ მექსიკის ავტომატიურათ ცნობას.

ლატვია.

წერეთელი და ჰიუსმანსი რიგაში.

რომი. 5 სექტ ჩამოვიდენ წერეთელი და ჰიუსმანსი მიტინგზე გამოსასვლელათ.

რუმინეთი.

იტალია—ფაშიზმის იდეალი.

ვენა. 5 სექტ რუმინეთის ფაშისტების ლიდერების განცხადებით, მათი მიზანია—ძალაუფლების ხელში ჩაგდება იტალიის მზგავსად და ბრძოლა ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ. ფაშისტებს ოფიციალურად მხარს უჭერს შინაგან საქმეთა მინისტრი ვაიტოიანუ

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე კაპიტალისტურ ქვეყნებში

ლატვია.

რიგა. 5 სექტემბერი. 2 სექტემბერს რიგაში დიდი მიტინგი გაიმართა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესასწაულის გამო. მიტინგი მოაწყო პროფკავშირთა ცენტრალურ ბიუროს ახალგაზრდათა განყოფილებამ. დაესწრო 2,000 მუშა თუმცა დარბაზში ფაშისტებიც შემოიპარნენ და სცდილობდნენ მიტინგის ჩაშლას, მაგრამ მიტინგმა მაინც დიდებულათ ჩაიარა.

ავსტრია.

ვენა. 5 სექტემბერი. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ვენაში და სხვა ქალაქებში გაიმართა მასიური კრებები შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს ფაშიზმი! გაუმარჯოს პროლეტარიატის ერთიან ფრონტს“. ვენაში გაიმართა მასხიური დემონსტრაცია ახალგაზრდობის კომკავშირის უცხოელ დელეგატების მონაწილეობით.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ინგლისი

ტრედუნიონების კონგრესი.

ლონდონი. 5 სექტემბერი. გაიხსნა ტრედუნიონების კონგრესი, რომელზედაც წარმოდგენილია პროფკავშირთა 4-ნახ მილიონი წევრი. წარსულ წლებთან შედარებით წევრთა საერთო რიცხვი შემცირებულია.

ლონდონი. 5 სექტემბერი. პლიმუტში გაიხსნა პროფკავშირთა ყრილობა, რომელზედაც ყრილობის თავმჯდომარემ გაილაშქრა პროფესიონალური მოძრაობის პარლამენტისთვის დაქვემდებარების წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა რიგების შინაგანი შეკავშირების აუცილებლობას.

მოლაპარაკება თანამშრომლობის შესახებ ამერიკის და ინგლისის ქვანახშირის მაღაროს მუშათა შორის.

ლონდონი. 5 სექტემბერი. ამერიკის მაღაროს მუშათა გაფიცვის გამო, ამერიკიდან მრავალი შეკვეთა მოდის ინგლისში, რამაც გამოაცოცხლა სამხრეთ-უელსის მაღაროების წარმოება. ინგლისის ქვანახშირის მუშათა ფედერაციის მდივანი კუკი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკელ კოლეგებთან ინგლისის და ამერიკის მემაღაროეთა თანამშრომლობის შესახებ გაფიცვის შემთხვევაში.

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციებში

მოწოდება

ტფილისის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა 1-ლ რაიონის კონფერენციის მომწვევ ბიუროსაგან.

დადგა დრო ჩვენი წარსულის გადაფასებისა. შეცდომები, რომელიც გვქონდა ჩვენს მუშაობაში, ჩვენ უნდა გამოვასწოროთ. ჩვენი მიზანი იყო რევოლიუციონური მარქსიზმის შესწავლა, მაგრამ ჩვენ გზას ჩვენ თვითონ ვუღალატეთ. მარქსიზმის სწავლის მაგიერ ჩვენ სარდაფებში დავიწყეთ სიარული და აშკარად ბურჟუაზიის საქმეს ვაკეთებდით. დღეს უკვე ეს ახალგაზრდობა ხედავს თავის შეცდომებს და ის უკვე დაადგა ახალ გზას. ის გმობს თავის წარსულს. გაკოტრებულად აცხადებს და უარყოფს პრინციპს: „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“. დღეს ყველა დარწმუნებულია რუსეთის მაგალითით, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის ერთად ერთი გზა კომუნიზმის დასამყარებლად.

ყველა ამხანაგმა უნდა იცოდეს რომ ჩვენ უნდა შევკრათ ძმური კავშირი კომკავშირთან და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული რევოლიუციის გასამარჯვებლად და საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

ამხანაგებო, ემზადეთ მომავალ კონფერენციისათვის, რომელიც გამონასავს გზას ჩვენი მომავალი მუშაობისას.

გაუმარჯოს ახალ გზას!

გაუმარჯოს ახალგაზრდათა გაერთიანებულ ფრონტს.

გაუმარჯოს მესამე ახალგაზრდათა კომინტერნს.

გაუმარჯოს კომუნიზმს.

ტფილისის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა პირველი რაიონის მომწვევ კონფერენციის საინიციატივო ბიუროს წევრები **1. ციტაძე 2 ცინცაბაძე. 3. კალაძე 4. ხირაძე. 5. გეორგობიანი.**

სენაკის მაზრაში

სენაკის მაზრაში საინიციატივო ბიუროს ხელმძღვანელობით სწარმოებს ყოფილ ახ მარქსისტების წინასწარი სამზადისი სამაზრო კონფერენციისათვის.

საინიციატივო ჯგუფი 9 კაცისაგან დაარსდა ყოფ. მენშევიკების სამაზრო ყრილობის დღეს-16 აგვისტოს და ამ დროიდან ის შეუდგა მუშაობას, ბიუროს წევრად შედიან ამხანაგები მაზრის ყოველ კუთხიდან.

ერთ-ერთ თავის სხდომაზე ბიურომ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გამართოს კრებები ადგილობრივ, გაგზავნოს ამხანაგი მოხსენებების წასაკითხავად და ით ხელი შეუწყოს მარქსისტული ახალგაზრდობის ბუნებრივ რევოლიუციონურ ლტოლვას. სამაზრო კონფერენციის დროთ,—ვინაიდან ამხანაგების თავის მოყრა უფრო მოსახერხებელია სასწავლებლებში სწავლის განახლების შემდეგ—მიღებულია 22 სექტემბერი.

საჭიროა ტფილისელ მოწინავე ამხანაგებმა აილონ ინიციატივა ახალგაზრდა მარქსისტთა სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევის და გამოგზავნონ ერთ-ერთი ამხანაგი სამეგრელოში სამაზრო კონფერენციების დროს.

Cani

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ამხ. რედაქტორო გთხოვთ მოათავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემდეგი ჩემი განცხადება:

ეს მესამე წელიწადია ვმუშაობდი ე. წ. „ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში“ და ვაწარმოებდი აქტიურ ბრძოლას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ჩემი ერთად ერთი მიზანი, როდესაც მე შევდიოდი ამ ორგანიზაციაში, იყო მეცნიერული მარქსიზმის შესწავლა და ახალგაზრდობის მის ნიადაგზე შეკავშირება. პრაქტიკამ დამანახვა, რომ ამ ორგანიზაციას, მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა და, პირიქით, მან საქართველოს კონტრ-რევოლიუციის ბანაკში შესამჩნევი ადგილი დაიჭირა.

ხსენებულ ორგანიზაციის მოღვაწეობამ, საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ რევოლიუციონურმა ნაბიჯებმა და ბოლოს კი ყოფილ მენშევიკთა კონფერენციებმა სრულებით დამარწმუნა ჩემი მუშაობის სრულ უნიადაგობაში და დღეს სრულიად შეგნებულათ ვაცხადებ, რომ გავდივარ ახ. მარქ. ორგანიზაციიდან და ვდგები საბჭოთა პლატფორმაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ახ. მარქ. ორგ ცეკა თავის მორიგ ფურცელში დაიწყებს ჩვეულებრივ ლანძღვა გინებას ჩემის შიშით. მაგრამ მე მგონია, რომ ალმოსავლეთ საქართველოს „მარქსისტები“ კარგათ მიცნობენ მე, ეცოდინებათ, რომ „ჩეკას დაშინებას და მოსყიდვას“ ჩემს გასვლაში ადგილი არ ექნებოდა და, როგორც ნამდვილი მარქსისტები, დაადგებიან ახალ გზაზე საბჭოთა ხელისუფლების გასაძლიერებლად.

გახოკაპანაძე.

6 სექტემბერი—23 წ. ტფილისი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

ელექტრონის მოწოდება თეირანის გამოფენისათვის.

პეტროგრადი. 6 სექტემბერი. პეტროგრადის ელექტრო-ტრესტმა იკისრა მთელი ელექტრონის მიწოდების საქმე თეირანის გამოფენაზე. ამ მოკლე ხანში ტრესტი თეირანში გზავნის საჭირო მანქანებს და ხელსაწყოს.

კარელიის რესპუბლიკა.

პეტროზავოდსკი. 6 სექტემბერი. კარელიის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმმა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. პოტმაკი და შექმნა 10 სახალხო კომისარიატი. კარელიის რესპუბლიკის საზეიმო გამოცხადება მოხდება კარელიის საბჭოთა ყრილობის დღეს, 10 ოქტომბერს.

ბუხარა

ემირის დამხობის წლის თავი

ბუხარა. 6 სექტემბერი. ბუხარის მშრომელმა ხალხმა ზეიმით იდღესასწაულა ემირის დამხობის სამი წლის თავი. ორატორები მიტინგებზე აღნიშნავდენ ბუხარის სამეურნეო აღორძინებას, მის აღმშენებლობით მიღწევას და ერთხმად უთითებდნენ რუსეთის წითელი არმიის ძმურს დახმარებაზე ბასმაჩებთან ბრძოლის დროს. რუსეთის წითელი არმიის ორს პოლკს ბუხარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ გადასცა საპატიო დროშა. ბუხარის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა წლის თავის აღსანიშნავად ფართო ამნისტია გამოაცხადა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

50,000 ექსკურსანტი.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. გამოფენის მთავარი კომიტეტის საექსკურსიო ბიუროს ცნობებით, გამოფენის გახსნის დღიდან 3 სექტემბრამდე გამოფენა დაუთვალიერებია 50,000 ექსკურსანტს—გლეხებსა და მუშებს.

სამაზრო კომიტეტი.

მოსკოვი 6 სექტემბერი. შინაგან ვაჭრობის კომიტეტის თათბირის დადგენილების გამო, სოფლებთან სავაჭრო კავშირის გაბმის შესახებ, შინაგან ვაჭრობის კომიტეტის თავმჯდომარე ლეჟავამ განაცხადა: ეს გადაწყვეტილება ყველა დარგის კოოპერატივებს გზას უხსნის ფართოდ ისარგებლონ გამოფენით თავისი ოპერაციების გამოსაცოცხლებლად და გასაფართოვებლად.

საკავშირო გამოფენა.

აქ სხვა და სხვა სახე ექნება, სავაჭრო ოპერაციებს. მთავრობა დიდად შეუწყობს ხელს გამოფენაზე აღებ-მიცემობის გაჩაღებას, რომლის მოსაწყობადაც გამოფენის მთავარი კომიტეტი აარსებს საბაზრო კომიტეტს.

საავტომობილო სახელოსნო გამოფენაზე

მოსკოვი. 6 სექტემბერი. ამხ. რაკოვსკის სახელობის საავტომობილო ქარხანა სრულიად საკავშირო გამოფენაზე გზავნის მინდვრის სამუშაოსათვის გამოსაყენებელ ავტომობილების მოძრავ სახელოსნოს..

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

სამართლის წარმოების რეორგანიზაცია.

ბათომი. 5 სექტემბერი. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში პროექტი წარუდგინა სამართლის წარმოების რეორგანიზაციის შესახებ აჭარაში.

სანატორიუმი ქობულეთში.

ბათომი. 5 სექტემბერი. აჭარის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ქობულეთში სანატორიუმი გახსნა ფილტვებით სნეულთათვის.

ჩაის მოსავალი.

ბათომი. 5 სექტემბერი. 3 სექტემბერს ჩაქვის მამულში დაიწყეს მესამე რიგი ჩაის მოკრეფა.

წლევანდელმა ჩაის მოსავალმა შარშანდელს ბევრად გადააჭარბა. 1922 წლის განმავლობაში მოიკრიბა სულ 215,000 გირ., წელს კი, სექტემბრამდე მოკრეფილია 256,000 გირ.

სამოსწავლო წელიწადი.

ბათომი. 5 სექტემბერი. განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით, ტეხნიკუმებში და შრომის სკოლებში გამოცდა დაიწყება 15 სექტემბრიდან, ხოლო რეგულიარული მეცადინეობა კი—1 ოქტომბრიდან.

ბრძოლა მოსავლის მტრებთან.

ბათომი. 6 სექტემბერი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოსაგან იძენს 100 ფუთს საპონიანს ფოროთხალის მავნე მწერთა საწინააღმდეგოდ.

კავშირები და კოოპერაცია.

ბათომი. 5 სექტემბერი. სექტემბერში მეტყევეთა კავშირი ყველა თავის წევრებს სავალდებულოდ ჩარიცხავს ერთიან მომხმარებელ საზოგადოების წევრებად.

ენის საკითხი.

ბათომი. 5 სექტემბერი. მიწა ტყის კავშირის გამგეობამ სასურველად სცნო საქმის წარმოება აწარმოვონ რუსულსა და ქართულს ენაზე. კავშირის ახალ პასუხისმგებელ მდივნის დანიშვნამდე, საქმის წარმოება რუსულ ენაზე იქნება.

აფხაზეთი

ბირჟაზე.

სოხუმი. 6 სექტემბერი. გუშინ სოხუმის ბირჟაზე და ბაზარზე ვაკხანალია იყო ფასებისა. ჩერვონეცი 100 მილიონზე ავიდა, ლირა—20 მილიონზე. ამის მიხედვით ყველაფრის ფასებმა აიწია. ადგილობრივმა ბირჟამ სიცოცხლის ნიშანწყალი ვერ გამოიჩინა. სამეურნეო ორგანოებიც დაიბნენ და ვერ მოახერხეს მაგარი ფასების დამყარება. ბაზარი სპეკულიანტების სათარეშო გახდა. ტფილისიდან მიღებულმა დეპეშამ ვალიუტის ფასის შესახებ, ცოტა დამშვიდება შემოიტანა. სახალხო კომისართა საბჭომ რეპრესიული ზომები მიიღო საღამო ხანზე ვალიუტამ დაწევა იწყო.

სომხეთი.

ტროპიკული ინსტიტუტის გახსნა

ერევანი. 6 სექტემბერი. სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. ნაზაროვმა დღეს ზეიმით გახსნა ერევანში ტროპიკული ინსტიტუტი, რომელიც რიცხვით მეორეა საკავშირო რესპუბლიკებში, ხოლო მე 12-ა მთელ მსოფლიოში. ამხ. ამბარცუმიანმა აღნიშნა ინსტიტუტის მიზანი, დანიშნულება და განაცხადა, რომ მეფის თავრობამ სახსარი ვერ გაიმეტა ასეთი ინსტიტუტის გასახსნელად, საბჭოთა მთავრობა კი უდიდეს ხარჯებს და ენერგიას არ ზოგავს ხალხის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ჯანმრთელობის დარგში.

მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს: სახალხო კომისართა საბჭოს სახელით—ამხ. მიასნიკოვმა, განათლების კომისარიატისა და ქალაქის საბჭოს სახელით—სახალხო განათლების კომისარმა ამხ. მრავიანმა გელმინტოლოგი პროფ სკრიბინი მიესალმა მოსკოვის ტროპიკული ინსტიტუტის სახელით. შემდეგ მიულოცეს: ერევნის უნივერსიტეტმა, სომხეთის წითელი ჯვრის საზოგადოებამ, პროფკავშირთა საბჭომ, სამკურნალო-სანიტარო მუშაკთა კავშირმა და პრესის წარმომადგენლებმა. ბოლოს ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ტროპიკული ინსტიტუტის ორგანიზატორი, მოსკოვის ტროპიკული ინსტიტუტის უხუცესი მოწაფე პეტრე პოპოვი. პოპოვმა განმარტა ინსტიტუტის მნიშვნელობა და დანიშნულება. ინსტიტუტის შტატში იქნება: დროებითი დირექტორი, 4 ექიმი და 4 მოწყალების და ინსტიტუტში 4 განყოფილება: პროტოზოოლოგიური, მიკრობიოლოგიური, ენტომოლოგიური და გელმინტოლოგიური. ინსტიტუტი შეინახება სომხეთის ჯანმრთელობის კომისარიატის ხარჯზე. მოსკოვის ტროპიკულმა ინსტიტუტმა გამოგზავნა მედიკამენტები, მიკროსკოპები, სალაბორატორიო აპარატები და წიგნები. ლონდონის ტროპიკულმა ინსტიტუტმა გამოგზავნა კეთროვენების ახალი წამალი—ნატრიუმბინოკორდიკუმი, წიგნები და აღგვითქვა დახმარება მომავალშიაც. ერევნის ტროპიკულ ინსტიტუტის მუშაობამ უკვე აღმოაჩინა სომხეთში პელაგრა და მალტიური ციება.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლო მომავალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან იხსნება მე 2 საფეხურის 1 ცენტრალური პარტიული სკოლა, 2 წლიანი კურსით. წინად იგი იყო ერთწლიანი, რის გამოც კურსელები ვერ ასწრობდენ სათანადოთ დაემთავრებიათ საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხები. ამიტომ კურსელებმა ვერ მიიღეს სათანადო მარქსისტული მომზადება და კომუნისტური აღზრდა და სკოლამაც ვერ მიაღწია თავის მიზნებს. იღებს რა სხედველობაში ყველა ამ დეფექტებს, ცეკა ფიქრობს მუშაობა ცენტრალურ პარტსკოლაში ამ წლიდან სულ ახალ საფუძველზე დააყენოს. მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები საბჭოთა პარტსკოლების მეორე ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად ახალი პრინციპებით და მეცადინეობის ახალი მეთოდებით სკოლა მიზნათ ისახავს მარქსისტულად განათლებულ პრაქტიკოს-კომუნისტების, სამაზროდა სარაიონო მასშტაბით მუშაკთა მომზადებას, რომელნიც ადვილად გაერკვევიან პარტიულ და საბჭოთა ცხოვრების ყველა საკითხებში. სკოლა ვერ მიაღწევს ამ მიზანს, თუ იქ მოხვდება შემთხვევითი და უვარგისი ელემენტი, სკოლის შემადგენლობა უნდა იყოს სავსებით შესაფერისი მის წინაშე დასმულ ამოცანების შესასრულებლად. ამიტომ ცეკა წინადადებას აძლევს ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ კურსანტების არჩევას და სასტიკად დაიცვან მიღების შემდეგი პირობები:

1. საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ მე 2 საფეხურის შკოლაში მიიღებიან: ა) უმთავრესად მუშები და გლეხები, რომელთაც აქვთ საწარმოო სტაჟი, რომელთაც გამოიჩინეს უნარი თეორეტიულ ცოდნის მიღების და რომელნიც წარმოგზავნილი იქნებიან საქართველოს კომპარტიის სამაზრო და საოლქო კომიტეტების მიერ „განაწილების“ თანახმად; ბ) საქართველოს კომპარტიის და საქ. ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები, მიიღებიან უპარტიოებიც, რომ ებმაც თავი გამოიჩინეს როგორც პატიოსანმა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულმა უპარტიო ამხანაგებმა; გ) წარმოგზავნილები უნდა იყონ: პოლიტიკურად განვითარებულნი და 1 საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლის კურს დამთავრებულნი და უნდა ჰქონდეთ ცოდნა შემდეგ შრომათა საზღვრებში: 1) ბოგდანოვი—პოლიტიკური ეკონომია პირველ დაწყებითი კურსი, (კითხვა პასუხები), 2) ბუბნოვი—კომუნისტური პარტიის განვითარების ძირითადი მომენტები, 3) სტუჩკა—რუს. საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკას კონსტიტუცია კითხვა პასუხებში, 4) რუსეთის კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებანი და უნდა იყვნენ საკმაოდ განათლებულნი იცოდენ ჩქარი კითხვა, ზეპირად და წერილობით აზრებით აზრების დალაგება ქართულსა და რუსულ ენებზე და ყველა არითმეტიკული მოქმედებათა წარმოება მთელი ციფრებით, 4) არა ნაკლები 17 წლისა და არა უმეტეს 30 წლის ჰასაკისა, 5) სკოლაში არ მიიღებიან ავადმყოფები: ძლიერი სისხლნაკლულოვანებით, ჭლექით, ვენერიული ავადმყოფობებით და ისეთი, რაც ხელს უშლის ნორმალურ მეცადინეობას.

შენიშვნა: სათანადო კანდიდატების შესაკრებად ამ პირობების თანახმად ადგილებზე ეწყობიან კომისიები, რომლებშიაც შედიან პარტკომის (თავმჯდომარეთ), ქალთა განყოფილების, ახალგაზრდათა კომკავშირის და პროფკავშირის და პროფორგანიზაციების წარმომადგენლები. ყველა ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ წამოაყენონ თავისი კანდიდატები ცენტრალურ პარტსკოლაში.

2. ადგილებიდან წარმოგზავნილი ამხანაგები ჩაირიცხებიან ცენტრალურ პარტსკოლაში მისაღებ გამოცდების ჩაბარების და საექიმო გასინჯვის შემდეგ.

3. ვინც ჩამოთვლილ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებს ან გამოცდის შემდეგ აღმოჩნდება გამოუსადეგარი თეორეტიულ მეცადინეობისათვის, უკანვე იქნება წარმოგზავნილი

4. იმ ამხანაგებს, რომელთაც სკოლაში წარმოსაგზავნათ დაასახელებენ ადგილობრივი ორგანიზაციები, ეძლევათ ორი კვირის შვებულება იმ დაწესებულების და წარმოების ხარჯზე, სადაც კანდიდატი მისვლინების მომენტში მუშაობს.

5. სკოლის კურსანტებს ეძლევათ საერთო საცხოვრებელი, ლოგინი, ტანთსაცმელი, წიგნები ბიბლიოთეკიდან მეცადინეობის დროს, დაწესებული ულუფა, სტიპენდია და ისინი იხდიან შრომის ბეგარას თვითსამსახურისათვის.

6. პარტკომებს ევალებათ: ა) თავს იდვან მოვლინებულის სამგზავრო ხარჯები, ბ) მიიღონ თავის თავზე მზრუნველობა მივლინებას ოჯახზე, საქ. კომპარტიის ცეკას დებულების თანახმად, გ) გამოუცხადონ მივლინებულს, რომ სკოლაში მიიღებიან კურსელები ოჯახის გარეშე და სკოლა არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს ტფილისში ბინებით, სურსათით და სამსახურით დაკმაყოფილების მხრივ, დ) მოაწოდონ მოკლე ცნობები მივლინებულის ასაკის, მომზადების, სოციალურ მდგომარეობის პარტიულ (ან კომკავშირის წევრობის) შესახებ, უპარტიოთა დახასიათება და სხვა.

7. სტუდენტების მიღება მოხდება 15 დან 25 სექტემბრამდე. აღნიშნულ ვადის შემდეგ გამოცხადებულები აღარ მიიღებიან.

8. ყველა ჩამოსული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტ-საპროპაგანდო კომიტეტში, ტფილისი, რუსთაველი პროსპ № 22

ადგილობრივი პარტკომები წარმოგზავნიან კურსელებს შემდეგი განაწილების მიხედვით:

1) ახ ლციხის სამაზრო პარტკომი—2, 2) ახალქალაქის—2, 3) ბორჩალოს 2, 4) გორის—4, 5) დუშეთის—3, 6) ქუთაისის—6, 7) ლეჩხუმის—2, 8) ზუგდიდის—3, 9) ოზურგეთის—5, 10) ფოთის—3, 11) რაჭის—3, 12) სიღნაღის—3, 13) სენაკის—4, 14) ტფილისის კომიტეტი მაზრით—9, 15) თელავის-3, 16) შორაპნის-3, 17) აფხაზეთის საოლქო კომიტეტი—4, 18) აჭარის—5, 19) სამხრეთ-ოსეთის—4.

საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი **კახიანი.**

საგიტ-საპროპაგ. განყ. გამგე **ქვირიკაძე.**

ლიუქსემბურგის მშრომელთა ხმა.

ჩვენ, ახალშენ ლიუქსემბურგის მშრომელები, რომლებიც შევიკრიბეთ 1923 წელს, 19 აგვისტოს, პროლეტარიატის დიადი წინამძღოლის კარლ მარქსის ძეგლის გახსნის დღეს, ვაცხადებთ: სასახელო გერმანელის, მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ხელმძღვანელის და კომუნიზმისათვის მებრძოლის ხსოვნა მარადიულია და ძვირფასი ჩვენთვის.

ამჟამად ჩვენ განსაკუთრებით გვაღელვებს ის გიგანტიური ბრძოლა რომელსაც აწარმოებდენ ჩვენი გერმანელი ძმები საკუთარ და მსოფლიო ბურჟუაზიასთან.

შორეულ საქართველოდან ვუსურვებთ გერმანიის მშრომელებს კაპიტალზე გამარჯვებას. ფიცს ვსდებთ, რომ მთელ ჩვენს ძალ-ღონეს შევწირავთ გერმანიის მშრომელებს ბურჟუაზიის დასამარცხებლად.

სიკვდილი გერმანიის კაპიტალს და მსოფლიო ბურჟუაზიას!

გაუმარჯოს გერმანიის და მსოფლიო პროლეტარიატს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას გერმანიაში და მთელს მსოფლიოში.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(7 სექტემბერი).

ჩერვონცები — — —	44,300
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	43,000
ჩეკები —	42,600
დოლარები ეფექტ. —	9,500
„ ჩეკები	8,800
ოსმ ქაღ. ლირა	6.050
საბჭ. ფულის ნიშნები	21

მუშკოპის ფასები.

(7 სექტემბერი).

პური გირ.—180 და 300, ნატეხი შაქარი—2785, ფხვნილი შაქარი 2090, ძროხის ხორცი—900, ბრინჯი 615, კარტოფილი—100.

ტფილისის ბაზრის ფასები

(7 სექტემბერი.)

პური 1 ხარ.—400 450, პური 2 ხარ.—200—350. ნატეხი შაქარი—2,700-2750, ფხვნილი შაქარი—2,200, ძროხის ხორცი—950 1000, ცხვრის ხორცი 1000-1100, კარტოფილი—120, კომბოსტო—150.

ოფიციალური გარიგებანი

(7 სექტემბერს)

ინდოეთის ჩაი—13 ჩერვ. ფუთი.

ფანჯრის მინები—37 ჩერვ. მანეთი ფუთი.

ცემენტი—13 ჩერვ. მან. ბოჭკა.

ქვა-მარილი—1 მან. 25 კ. (ჩერვ.) ფუთი.

ბირჟის მიწოდება.

(7 სექტემბერი).

უცხოეთის ფეხსაცმელები. რუსეთის ქაღალდის ფართლეულობა. აგურები. კახური ღვინო. მატყლი. ნახიჩევანის მარილი.

ბირჟის მოთხოვნილება

(7 სექტემბერი)

მილები. მაკარონი და ვერმიშელი. ჩაი. ყავა. ცემენტი. ყუბანის ხორბალი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

(7 სექტემბერს.)

ხორბალისა და პურის პროდუქტების ბაზარზე განწყობილება მოდუნებულია. სუსტი მოთხოვნილებაა შაქრის ბაზარზეც. დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

7 სექტემბერს.

დაიწყო ვალიუტის კურსის დაცემა. ჩერვონეცი თითქმის ორი მილიონით დაეცა. ბაზარზე ვალიუტა ბევრია.

ხელშეკრულებანი ბირჟის გარეშე.

6 სექტემბერს დადებულია 14 ხელშეკრულება 80161,43 ჩერვ. მან. თანხისა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

ს. ს. რ. კ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან ამიერ კავკასიაში, თანახმად მოსკოვიდან მიღებულ განკარგულებისა, მოეწყო სპეციალური კომისია ამხ. გაჯინსკის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საექსპორტო-საიმპორტო გეგმა მომავალ წლისათვის ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

კომისია ამჟამად ამუშავებს გეგმას თვითეულ რესპუბლიკებისა და ეკონომიურ რაიონებისათვის ცალცალკე.

—

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა თხოვნით მიმართოს ს. ს რ. კ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, რათა ამ უკანასკნელმა დააკმაყოფილოს საქართველოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა ამიერ-კავკასიაში ინგლის ბულგარეთის სისტემის გუთნების შემოტანის შესახებ.

„ნედლი მასალის უტილიზაცია“

განსაკუთრებულ კომისიას ამხ. ამხ. ივანიანისა და მელიკოვის შემადგენლობით დაევალა მოლაპარაკება აწარმოოს „ნედლი მასალის უტილიზაციის“ სახელით უცხო კაპიტალის წარმომადგენლებთან შერეულ საზოგადოების დაარსების შესახებ.

ვაჭრობა სპარსეთთან.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გაანთავისუფლოს აქციზისაგან საბჭოთა წარმოების ყველა ის საქონლები, რომელნიც სპარსეთში უნდა იქნენ გატანილი.

ტეხნიკური კომიტეტი.

აღძრულია საკითხი ტეხნიკურ კომიტეტის დაარსების შესახებ, რომელმაც უნდა მოაგვაროს ავტომობილების და მათი ნაწილების შემოტანის საქმე ამიერ-კავკასიაში.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

აბრეშუმის პარკის დამზადება.

დღევანდლამდე ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს განყოფილებების მიერ ადგილებზე დამზადებულია 7 ათას ფუთზე მეტი მშრალი აბრეშუმის პარკი.

ბამბის დამზადება.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო შეუდგა ბამბის დამზადებას ამიერ-კავკასიაში. მთავარ რაიონებში იგზავნებიან აგენტები.

ხალიჩების შესყიდვა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობამ დაადგინა გადასდოს 5000 ჩერვონეცი კავკასიური ხალიჩების შესასყიდავათ.

პროფკავშირებში

პროფ-საბჭოს კულტ-განყოფილებაში.

კულტმუშაობის მიმდინარეობის გამორკვევა.

მოსკოვიდან მიღებული ბარათების და ინსტრუქციების მიხედვით, კავშირებში სწარმოებს კულტ მუშაობის და ყოველი დარგის დაწვრილებითი აღნუსხვა. შეკრებილი ცნობები უნდა გაიგზავნოს 15 სექტემბრამდე მოსკოვში, სადაც განზრახულია კულტ-მომუშავეთა ყრილობა. კავშირებს ევალებათ დააჩქარონ შევსებულ ანკეტების გაგზავნა.

საქარხნო ახალგაზრდების ცენტრალ. სკოლა.

ამხ. კამოს სახელობის საქარხნო ახალგაზრდობის სკოლას დიდი ინტერესით ეტანებიან კავშირის წევრთა მოზრდილი ბავშვები მთხოვნელები ბლომათ არიან, ჯერ-ჯერობით კულტ-განყოფილებამ ხსენებულ სკოლაში 50 ულარიბესი ბავშვი გაგზავნა.

ცენტრალურ კლუბების წესდება.

პროფ-საბჭოს კულტ-განყოფილებამ გამოიმუშავა ცენტრალურ მუშათა კლუბებისათვის წესდება, რომელიც დაეგზავნება პროფ-ორგანიზაციებს. განზრახულია წესდების დაბეჭდვა ქართულ-რუსულ ენებზე და საწევრო წიგნებთან ერთად კლუბის წევრებს შორის მათი გავრცელება.

ლიტერატურა აფხაზეთისთვის.

აფხაზეთის პროფ-საბჭოს წარმომადგენელმა კულტ-განყოფილების წიგნის საწყობიდან შეიძინა პროფესიონალური და პოლიტიკური ლიტერატურა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

ახალი წიგნები.

დაიბეჭდა რუსულიდან გადმოთარგმნილი წიგნი: „პროფ მოძრაობის თეორია, ისტორია და პრაქტიკა“—თხზულება ჩეკინისა; ამ დღეებში გამოვა: „ევროპის მუშათა მოძრაობის ისტორია“, „კოლექტიური ხელშეკრულება“ და „კომუნისტების მიზნები პროფესიონალურ მოძრაობაში“.

ბავშვები კინო-ლენტზე.

პროფ-საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, საზაფხულო სეზონის დასრულებისას, ტფილისში დაბრუნებამდე კინემატოგრაფიულ ლენტზე გადაიღებენ პროფ-საბჭოს სახლში მოთავსებულ ბავშვთა ცხოვრების ცალკე ეპიზოდებს.

მშობლების საყურადღებოდ.

კოჯორში მყოფ კავშირის წევრთა ბავშვების კინო-ლენტზე გადაღების გამო, ბავშვების ტფილისში დაბრუნება 4 სექტემბრისათვის არ მოხერხდა. დაბრუნების დღე და საათის შესახებ კავშირებს ეცნობებათ თავის დროზე.

მუშათა დაცვის საკითხი

(პასუხათ ექ. ჩუდნოვსკის).

ვინმე გ. კ—მ „ზარია ვოსტოკა“-ში (№165) და ექ. ჩუდნოვსკიმ „კომუნისტის“ № 193-ში მოათავსეს წერილები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაცულ იქნას მუშები პროფესიონალურ ავადმყოფობისაგან. ამ ჟამად მე მიზნად არ მაქვს მათი პროექტის გაკრიტიკება, ვინაიდან ის არავისთვის საჭირო არ არის, გარდა ჩუდნოვსკის და გ. კ—სა. საჭიროთ ვთვლი მხოლოდ მიუთითო მკითხველებს, რომ აქ დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი.

გაუგებრობა გამოიხატება შემდეგში. ჩუდნოვსკი და გ. კ. თავიანთ მოზრდილ წერილებში იძლევიან წინადადებას შექმნილი იქნას ისეთი აპარატი, რომელიც მიზნად დაისახავს მუშების პროფესიონალურ ავადმყოფობისაგან დაცვას, ფაბრიკა ქარხნებში სანიტარულ და პროფეს. გიგიენურ ზომების მიღებას, საწარმოო მავნე პირობების მოსპობას, მოწამვლის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა. მათი აზრით უნდა დაარსდეს ცალკე განყოფილება ჯანმრთელობის კომისარიატთან. ამ განყოფილებას უნდა ჰყავდეს თავიანთი სპეციალური საქარხნო სანიტარული ექიმები, რომელნიც დროგამოშვებით უნდა აწარმოებდნენ ქარხნების დათვალიერებას. ასეთ აპარატის შექმნას ისინი დამკვრელ საქმედ აცხადებენ.

მკითხველი იტყვის, რომ მართლა კარგი აზრია და საჩქაროთაც უნდა გაკეთდეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველაფერი ეს **მოწყობილი და განხორციელებული 1921 წლის ივნისიდან.** შრომის სახალხო კომისარიატთან არსებობს სპეციალური აპარატი საქარხნო სანიტარული ინსპექციისა (იქ მუშაობენ გამოცდილი ექიმი სპეციალისტები პროფესიონალურ ჰიგიენის საქარხნო და სანიტარიის დარგში). მათი მუშაობა ინტენსიურათ მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს, რის დამტკიცებაც ადვილია. უნდა ვთქვა გულახდილათ, რომ გ. კ. და ჩუდნოვსკის პროექტებმა ეჭვში შემიყვანეს, მათი წერილი-პროექტი შევადარე შრომის კომისარიატის საქარხნო სანიტარულ ინსპექციის დებულებას, რომელიც გამოცემული იყო 1921 წლის ივნისში. ვნახე დიდი მსგავსება, მთლიანი წინადადებების განმეორება. ალბათ 1 დებულების 21 წელში შემდგენელმა გადმოწერა ჩუდნოვსკის 23 წლის პროექტიდან ადგილები!

ყველაფერი შესაძლებელია!

ერთი სიტყვით ყოველისფერი ეს გაკეთებულია, ხოლო გ. კ. და ჩუდნოვსკი დიდი საქმიანობის კილოთი იძლევიან წინადადებას დაუყოვნებლივ შევქმნათ ის, რაც უკვე დიდი ხანია შექმნილია და რიგიანათაც მუშაობს. ეს იმას ჰგავს, რომ გამოხვიდე და დასწერო: ტფილისი უტრამვაოთ არ ვარგა და საჭიროა მისი ახლავე გაყვანაო.

აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ სანამ წერილს დასწერდე ამა თუ იმ საკითხზე და შესთხზავდე პროექტებს, საჭიროა გაეცნო ისტორიას ამ საკითხისას, მის დღევანდელ მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ გამოხვიდეთ წინადადებებით.

წინააღმდეგ შემთხვევაში დროს უაზროდ დაკარგვას ვერ ასცდებით, როგორც ეს დაემართა გ. კ—ს და ექიმ ჩუდნოვსკის.

ს. გოდაბრელიძე.

ქრონიკა

— **პოლიტეხნიკურ სასწავლებელში.** ახლად შემომსვლელთათვის მისაღები კოლოკვიუმები—ქართულ ენაში, მათემატიკაში და ფიზიკაში დაიწყება 17 ენკენისთვეს.

— **ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის ერთი წლის თავზე.** ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის საალმშენებლო კომიტეტი ა. წ. 9 სექტემბერს ზემო-ავჭალაში სამუშაოთა დაწყებიდან ერთი წლის შესრულების გამო აწყობს დღესასწაულს. ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს შეუძლიათ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება ზეიმი დაიწყება დილის 11 საათზე სამუშაოთა ადგილზე.

— **საბურთალოს არხის დახაცავად.** ვინაიდან საბურთალოს არხს აოხრებენ მენახირენი პირუტყვებით, წინადადება მიეცა მილიციას დაჯარიმონ მოთარეშე მწყემსები შემდეგი სახით: კამეჩზე—1 მან, მსხვილფეხა საქონელზე და ცხენებზე—50 კაპ, წვრილფეხა—20 კ. ოქროთი. საქონლის დაჭერიდან 10 დღის განმავლობაში თუ მეპატრონე არ გადიხდის ჯარიმას, დაჭერილი საქონელი გაიყიდება.

— **ამხ. ბუხარინის მოხსენება.** 6 სექტემბერს საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრში ტფილისის საერთო პარტიულ კრებაზე ამხ. ბუხარინმა გააკეთა მოხსენება, თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა“, მოხსენებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

— **წმენდა.** 7 სექტემბერს დაიწყო ქართულ დივიზიასთან არსებულ პოლიტხელთა კურსების მსმენელების წმენდა.

— **ხიდებიდან ნაგვის გადაყრის აკრძალვა.** ქ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილების კოლეგიამ დაავალა უძრავ ქონებათა სამმართველოს გამოსცეს სათანადო დადგენილება ხიდებიდან ნაგვის გადაყრის აკრძალვისა და ამ დადგენილების დამრღვევთა დაჯარიმების შესახებ

— **განსხვავების მიცემა.** დაზღვევის კასამ დაადგინა: დახმარება, რომელიც გაიცემა წინასწარ, შემდეგ განსხვავება უნდა მიეცეთ უკანასკნელ კურსის მიხედვით.

— **დაზღვევის ვადის გაგრძელება.** დაზღვევამ კასა გადასწყვიტა უმუშევართა დაზღვევის ვადა გააგრძელოს კიდევ რამდენიმე კვირით.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 6 სექტ. შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 517 უმუშევარი. ახლად არავინ ჩაწერილა. სამუშაოზე გაიგზავნა—49.

— **ქართული მუსიკის კათედრა.** ტფ. სახელმწიფო კონსერვატორიაში მომავალ სამოსწავლო წლიდან გაიხსნება ქართული მუსიკის კათედრა. პროფესორათ მოწვეულია კომპოზიტორი კ. ფოფცხვერაშვილი.

— **რკინისგზის ხარჯთ-აღრიცხვა.** ა.—კ. რკინისგზის სამმართველომ შეიმუშავა ა.—კ. რკინისგზების ხარჯთ აღრიცხვა, რომელიც უკვე წარუდგინა ა.—კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს დასამტკიცებლათ.

— **ძველი მუშა-მოსამსახურეების დაჯილდოვების შესახებ.** საჭირო განკარგულებისა და თანხის მიღებამდე რკინისგზის სამმართველომ დროებით შეაჩერა დახმარების გაცემა ძველი მუშა-მოსამსახურეების დაჯილდოების შესახებ.

— **აგარაკის აღდგენა ქობულეთში.** ა.—კ. სახ. კომისართა საბჭომ საჭიროთ სცნო აღადგინოს ქობულეთში აგარაკი, რისთვისაც დაევალა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს შეიმუშაოს საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა.

— **მანუფაქტურის დარიგება მუშებზე.** ნავთლუღის ადგილკომმა რკინისგზის პროფკავშირისაგან, მიიღო მანუფაქტურა ადგილობრივ მუშებზე დასარიგებლათ.

— **პროლეტარული საღამოები პროვინციებში.** ქ. გორში 31 აგვისტოს სანდრო ეულის ხელმძღვანელობით ადგილობრივი რკინისგზის მუშათა კლუბში გაიმართა ქართული პროლეტარული ხელოვნების საღამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. განზრახულია ამგვარი საღამოების მთელ საქართველოში მოწყობა.

— **ქალაქის აბანოებში.** 1 სექტემბერს ქალაქის აბანოებში დაწესდა შემდეგი ახალი ნიხრი: ცალკე ნომერი—2.000.000 მან., საერთო—500 ათასი მან.

— **შავი-ქვის მრეწველთა ყრილობა.** 15 სექტემბერს ქ. ჭიათურაში მოწვეულია შავი-ქვის მრეწველთა მე-25-ე ყრილობა. სხვათა შორის ყრილობას განსახილველი აქვს მაღაროების ხეობებში რკინისგზის ახალი ხაზის გაყვანის საკითხი.

— **საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.** სადგურ ქარელის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს წითელი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ გადასდონ სამი თვის განმავლობაში თითო დღის ხელფასი თვეში.

— **საქართ. მესაქონლეობის ექსპონატები მოსკოვის გამოფენაზე.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, საქართველოს მესაქონლეობის ექსპონატები რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში, გამოფენილი იქნა 1 სექტემბერს.

— **მესაქონლეობის ფერმები.** მიწად-მოქმედების კომისარიატის განკარგულებაში არსებული მესაქონლეობის ფერმები გადაეცა სახალხო მამულების სამმართველოს.

საცდელ-საქმეთა მოსაწყობათ. საცდელ-საქმის განყოფილებასთან შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა შეადგინოს საორგანიზაციო გეგმები საცდელ-საქმეთა დაწესებულებებისათვის სახელმძღვანელოთ.

— **სტუდენტ-მოვარჯიშენი მოსკოვის გამოფენაზე.** მიწად-მოქმედების საცდელ განყოფილებამ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნა 15 სტუდენტი-მოვარჯიშე, რომლებიც დაბრუნებისას გააკეთებენ მოხსენებას გამოფენის შესახებ.

პასუხად ჭიათურის უბნის მოსამართლეს

მე სწორეთ არ ველოდი ჭიათურის უბნის მოსამართლიდან ისეთ პასუხს იმგვარ მძიმე ბრალდებებზე, რომლებიც გამოვაქვეყნე გაზ. „კომუნისტის“ № 187-ში. მას ფაქტებით ხელში უმტკიცებდი და მიუთითებდი იმ უსამართლობაზე, რომელიც მან ჩაიდინა ობლების ქუჩაზე დატოვებით და შავი-ქვის მწარმოებლის ვაკალაპულოსთვის მხარის დაჭერით.

ის კი დიდი რიხით გამომდგარა და თავის საპასუხო წერილში კიდევ მეტ სიცრუეს და სიყალბეს სჩადის. განსვენებულ ტარიელ წერეთელს ის ბანდიტათ იხსენიებს, მარა საბუთებით კი არ ამტკიცებს ამას, არამედ მხოლოდ ჭორებს ეყრდნობა და სრულიად უადგილოთ სცდილობს განსვენებულის სახელისთვის ჩირქის მოცხებას. მას უნდა სცოდნოდა, რომ საქმე ობლების საჩივრის მიუდგომლათ გარჩევაში იყო და მათ მამას, თუ გინდ ის ბანდიტიც ყოფილიყო, არავითარი დამოკიდებულება არ ქონდა საქმესთან. თუმცა ჩვენ კატეგორიულათ ვადასტურებთ, რომ ტარიელ წერეთელი კომუნისტების მომხრე იყო, რასაც ამტკიცებენ მასთან კარგათ დაახლოვებული პირები: სიმონ წერეთელი, სიმონ ცინცაძე, ელენე ცინცაძისა, ანნა საყვარელიძე და ვალოდია ხარაიძე.

ტყუილად იმოწმებს ჭიათურის მოსამართლე შორაპნის მაზრის მიწად-მოქმედების განყოფილების დადგენილებას; განყოფილება არ უნდა დანდობოდა შინაურ ნაყიდობას და თუ განყოფილებამ შეცდომა დაუშვა, სახალხო მოსამართლე უფრო ობიექტიურათ უნდა მიდგომოდა საქმეს და სამართლიანი განაჩენი გამოეტანა აღძრული საჩივრის შესახებ; მაგრამ ის ასე არ მოქცეულა, მოქარითაც კი მიმართა წივილაშვილს, რასაც დაამტკიცებენ: სოფიო ძინძიბაძე, ბენედიქტე და პარმენ ცხადაძე, კ. დარბაიძე, და ნატალია ფხალაძისა.

როგორც კაპანაძის წერილიდან სჩანს მან ისიც კი არ იცის განაჩენზე თუ ვინ მოაწერა ხელი და მიუდგომელ მსაჯულათ უნდა მოგვაჩვენოს თავი.

რასაკვირველია ასეთი მსაჯულის გადაწყვეტილებას ვერ დაადასტურებდა სახალხო მოსამართლეთა საბჭო, რომელმაც გააუქმა ეს გადაწყვეტილება და ნათელყო, თუ რამდენად კანონიერათ იქცეოდა ჭიათურის მოსამართლე კაპანაძე.

მუშათა ცხოვრება

მუშა-მსახიობის ლევან ბალაშვილის 30 წლის მოღვაწეობის იუბილე

ამხ. მუშებო!

საიუბილეო კომისია იღებს რა მხედველობაში კრებაზე მოწვეულ მუშების, თვით წრის წევრების და მუშა-მსახიობების სურვილს, რომელიც გამოიჩინეს მათ ამხ. ბალაშვილის მიმართ, კისრულობს ამ იუბილეს მოწყობას 16 სექტემბერს.

ამხანაგებო, ჩვენ, მუშებს დღემდის არავინ შევვიწუხებია ამა თუ იმ მუშის დაფასებ-გადაფასებაში, თუმცა ამისი უფლება სრულებით გვაქვს ჩვენ.

— დღეს ამ შეფასებისათვის ჩვენ ვსდგამთ გარკვეულ და და მტკიცე მეორე ნაბიჯს (ამხ. ზესო მაი ურაძის შემდეგ) და სრულ იმედს გამოვსთქვამთ ამ ნაბიჯის გამარჯვებაში.

— ინტელიგენციამ ასეთი ნაბიჯები აუარებელი გადადგა ამ მოკლე ხანში.—

— ჩვენ კი მხოლოდ მეორე იუბილეს ვუწყობთ მუშა-მსახიობს.

— ლევან ბალაშვილი, ეს ის პიროვნებაა, რომელმაც თავისი თავი სრულიად მიიტანა ხელოვნების სამსხვერპლოზე და ამით გაუკაფა გზა ბოგანო ხალხს კულტურულ გათვითცნობიერებისაკენ.

— ლევანი მუშაა—ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით, იგი ღვიძლი შვილია იმ ხალხის, რომელმაც ასეული წლების განმავლობაში ზიდა რკინის უღელი ექსპლოატატორთა ხროვისა და თავისი სისხლით შეღება ის წითელი დროშა, რომელიც წარმოადგენს დღეს მუშათა კლასის სიამაყეს.

— 1893 წლიდან ფაქტიურად, ამხ. ლევანი ჩაბმული იყო ხელოვნების საქმეში და მაშინდელ შავ რეჟიმის ქვეშ აწარმოებდა სასცენო მუშაობას ტფილისის ყველა გარეუბნებში და თავისივე ფიზიკურ ძალის მიხედვით, ეს მძიმე შრომა გადაჰქონდა პროვინციებში, როგორც ქართლში, აგრეთვე კახეთში.—

— ამხ. ლევანმა თავის გრძნობიერ, ფაქიზი, უზადო თამაშით შეჰქმნა ის შემაერთებელი ძაფები, რომლის მეოხებით, ხარფუხის მუშათა მასა ზნეობრივად დაუკავშირა თეატრს, გადაჰჩვია ქუჩის ყომარბაზობას, ბანქოს თამაშს და სხვა.

— კლასობრივ ბრძოლაშიც ლევანი იგივე ცოცხალი და დაუღალავი პიროვნება იყო. იგი არა ერთხელ დარჩენილა ქუჩაში ულუკმა პუროდ სააგიტაციო სიტყვების წარმოთქმისათვის ადელხანოვის ქარხანაში და სხვაგან.

ტფილისში არ მოიპოვება, არც ერთი გარე-მუშათა უბანი, სადაც ლევანს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს ხელოვნების საქმეში.

— აი ვინაა ამხ. ბალაშვილი.—

— აი, ვის უნდა გადაუხადოს 16 სექტემბერს ზეიმი ტფილისის მუშებმა.—

— ლევანმა ღირსეულად შეასრულა მუშათა კლასის დავალება და წარბ-შეუხრელად მოადგა ჩვენს ისტორიის სამსჯავროს.—

ამიტომ—დღეს ჩვენ გაუწოდებთ ამხ. ლევანს ჩვენს მუშურ ხელებს და დიდი სიყვარულით ვეტყვით მას:

— „ვაშა შენს ღვაწლს და იმ დიად-ამოცანებს, რომლის გადაჭრაში შენც დიდი შრომა მიგიძღვის".

იმედია, ამხ. ამ წმინდა მუშურ ზეიმს ღირსეულად ჩავატარებთ!

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე—**ი. ბახტიაროვი.**

წევრები—**შათირიშვილი და ნატალია ქიქოძიხა.**

მდივანი **გ. გორდაძე**

ჩვენ მუშებში

31 აგვისტოს შესდგა ტფილისის სახალხო და საქონლის სადგურის საწყობების შეერთებული კრება. კრებას დაესწრენ მუშები უკლებლივ. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ამხ. მიტ. მ. ხარაძე, მდივნად ს. კალანდაძე. დღის წესრიგში იყო საკითხი „უფროს მუშების მოვალეობის შესახებ". მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ა. თოდრია, მან აუხსნა და განუმარტა მუშებს ის წესრიგი, რომელიც ევალებათ დაიცვან უფროსს მუშებს თავ თავიანთ საწყობებში. ჩვენ მართალია არა ვართ კარგ პირობებში და ეკონომიურად დიდ გაჭირვებას განვიცდით, მაგრამ ეს გასაჭირი ადრე თუ გვიან მუშების საკეთილდღეოდ შეიცვლება. სამწუხაროდ, ასეთ პირობების დროს მუშებს ემჩნევათ ერთნაირი სიზარმაცე და გულ-გრილობა და მათზე დაკისრებულ საქმეში დაუდევრობა. ჩვენ ვიცით გამოცდილებით, რომ ყოფილ არტ. „კომმუნის" დაშლის დროს ასეთმა დაუდევრობამ რამოდენიმე მილიარდი მანეთის ზარალი მოგვაყენა თვით მუშებს. და ეხლაც, როდესაც „ტრამოტის" ბედიც ასეთ რყევაშია, მოსალოდნელია ასეთი მდგომარეობა ხელმეორედ გვეწვიოს. ამისათვის ყველა უფროს მუშებს, ევალება, სასტიკი ყურადღება და დისციპლინა დაიცვან თავიანთ საწყობებში, რომ რაიმე გაუგებრობას არ ექნეს ადგილი და სრული წესიერება იქნეს დაცული ყველგან. კრებამ თოდრიას მოხსენება მიიღო ცნობად და სახელმძღვანელოდ და დაადგინა: იქნეს ყველა საწყობებში გაკრული განცხადება შესაფერისი სახელმძღვანელო განმარტებით.

მუშა ხიო ხიდისთაველი.

სასადილო მუშებისთვის

(თამბაქოს ტრესტის საყურადღებოდ)

ბაზარზე ფასების საზღაპრო ზრდის გამო—განსაკუთრებით მწვავედ სდგას საკითხი თამბაქოს ქარხნების მუშების საჭიროებისათვის საკუთარი სასადილოს მოწყობის შესახებ, სადაც მუშას შეძლება ექნება იაფად და მისთვის ხელმისაწვდომ ფასებში ისადილოს და ამნაირად გადაურჩეს სპეკულიანტების ბრჭყალებს.

ამ გეგმის განხორციელება მით უმეტეს ადვილია, რომ უკვე მოიპოება საამისო ხელსაყრელი პირობები. არის შესაძლებლობა 1 და 2 სახელმწიფო ქარხნების მუშებისთვის გახსნილ იქნეს საერთო სასადილო ამ ქარხნების რაიონში, ჩერქეზოვის ქუჩაზე სახლი № 166-ში, რომელიც ძალიან ახლოს არის აღნიშნულ ქარხნებთან. ამ სახლში არის სრულიად თავისუფალი სადგომი. სასადილოსთვის საჭირო მაგიდები, სკამები და სხვა საჭირო ინვენტარი ბლომად მოიპოვება ქარხნებში. საჭიროა მხოლოდ კარგი მზარეულის მოწვევა და სასადილოში სანდო გამგის დანიშვნა. ცოტაოდენ თანხას თვით ტრესტი გაიღებს და საქმე გაიჩარხება.

საჭიროა ამ სასარგებლო საქმეს მიექცეს ტრესტის ყურადღება, მით უმეტეს, რომ სასადილოს დასჭირდება ტრესტისგან სულ უმნიშვნელო თანხა სესხის სახით, რომელიც მოკლე ხანში დაუბრუნდება სალაროს მადლიერ მუშების მიერ.

მეთამბაქო მუშა ბახშო.

სადგურ ტფილისის და ნავთლუღის გადამტვირთავ მუშებში

ა. წ. 5 სექტემბერს შესდგა აღნიშნულ სადგურების საქონლის გადამტვირთავ მუშების მასსიური კრება, რომელსაც დაესწრო ხუთას კაცამდე.

დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი საქონლის გადამტვირთავ მუშების რკ. გზის ხელში გადასვლის საკითხი. მოხსენება გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. გეიდენმა და კომისიის წევრმა ამხ. კობიძემ. კრებამ მოხსენების თანახმად და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დაშლილად გამოაცხადა ცენტროტრამოტი. აღნიშნულ დადგენილების ძალით საქართველოს რკ. გზის მტვირთველი მუშები ა. წ. სექტემბრიდან გადასული არიან რკ. გზის განკარგულებაში. იმათ ენიჭება ყველა ის უფლებები, რომლითაც აღჭურვილი არიან რკინისგზელები. კავშირს ევალება სათანადო კოლექტიურ ხელშეკრულების შეკვრა რკ. გზის სამმართველოსთან უშუალოდ.

მიუხედავად ტრამოტის და აქციონერ საზოგადოების (ტრესტის) წარმომადგენელის გამოსვლისა, კრებამ, მოიწონა რა მიღებული გადაწყვეტილება და კატეგორიულად აღიარა მუშების ინტერესების დამცველად მხოლოდ და მხოლოდ კავშირი.

კრებამ აგრეთვე ერთხმად მოითხოვა ამ დარგიდან მოხსნილი ამხ. კობიძე დაბრუნებულიყო თავის ადგილზე, როგორც ამ დარგში დახელოვნებული და მუშებისთვის საიმედო პირი.

აქვე აღსანიშნავია ადგილკომის წევრის ჩგოგიძის ახირებული საქციელი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან კრების დაუკითხავად გამოაცხადა თავის-თავი კრების თავმჯდომარედ—და არ მისცა კრებას თავმჯდომარის არჩევის საშუალება, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში.

მუშკორი დამწვრე.

უნდა მიექცეს მეტი ყურადღება დეპეშების დამტარებლებს

რამდენიმე ხნის წინედ ჩვენ აღვნიშნედ გაზეთების ფურცლებზე დეპეშების დამტარებელთა წარმოუდგენელი და თითქმის აუტანელი ნივთიერი მდგომარეობა.

მას შემდეგ ამ მხრით მათი მდგომარეობა მხოლოდ მით შეიცვალა, რომ ჯამაგირების მიცემა დაუწყეს მათ საქონლის მანეთით. წინედ კი საქონლის მანეთის ანგარიშზე მათ არ ეძლეოდათ ხელფასი. მაგრამ საგრძნობლად ვერც ეს ცვლილება მისცემს ამ მოსამსახურეთ თავის ეკონომიური პირობების გამოკეთებას, რადგან ფოსტა-ტელეგრაფის საქონლის მანეთის ღირებულება არასოდეს არ უდრის ოფიციალურ კურსს ნამდვილი საქონლის მანეთისას.

ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვსთვლით დეპეშების დამტარებლებს მოემატოს ჯამაგირები, რადგანაც მათი სატარიფო ხარისხი არ აღემატება 4—6-ს ეს კი სრულიად უმნიშვნელო ხელფასს შეადგენს მათთვის დღევანდელ საშინელ სიძვირეში.

ასეთივე მცირე ჯამაგირები აქვთ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში სხვა დაბალ მუშა-მოსამსახურეებს. ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია და სამართლიანიც იქნება ამავე ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის ზოგიერთ სპეცების ძალიან გაზრდილ ჯამაგირებს რამოდენიმე ჯამი გამოაკლდეს და ის მიემატოს ჩვენ მიერ დასახელებულ მცირე ჯამაგირებიან მუშა-მოსამსახურეთ. ასეთი ზომების მიღებით ჩვენის აზრით წესიერი წარმოების აპარატში წონასწორობა არ დაირღვევა. პირიქით საქმეს უფრო ავნებს ის გარემოება, რომ სულ უმნიშვნელო ხელფასი მრავალ ცოლშვილით დატვირთულ მუშაკების ცხოვრების მინიმალურ მოთხოვნილების ნახევარსაც ვერ აკმაყოფილებს. „სამი თვეა, რაც ერთხელაც ხორცი, არ გვიჭამიაო", ამას ლაპარაკობს აღნიშნულ თანამშრომელთა უმეტესობა. ეს კი ეწინააღმდეგება მათ ნორმალურ ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებას, ემუქრება მათ ფიზიკური განადგურებით და თუ წარმოების თანამშრომლების უმეტესობა ნელ-ნელა ფიზიკურ განადგურების გზაზე დაადგება, მარტო კარგ ჯამაგირიანი „სპეციალისტები" საქმეს ვერ უშველიან.

ამასა გარდა აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია დეპეშების დამტარებლებს, ეძლეოდეთ ტრამვაის უფასო ბილეთები.

მათ უხდებათ ტფილისის შორეულ უბნებში დეპეშების გადაცემა და თუ მათ ტრამვაით უფასო გამგზავრების საშვალება არ მიეცათ ეს ერთი მხრით დააბრკოლებს დეპეშების სასწრაფოდ გადაცემას და მეორედ თავის ჯამაგირები ფეხსაცმელებში არ ეყოფინსთ ამ საცოდავ ხალხს.

მუშკორი ჩხმლი.

სახალხო მოსამართლეთა საბჭო ემყარებოდა შემდეგ მოსაზრებებზე: 1) სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივანის ძიება, დაეყრდნო რა მაძიებლის დოკუმენტებს. 2) ამ დოკუმენტებს მიანიჭა კატეგორიული დამამტკიცებელი ძალა, როდესაც მას იურიდიულად არ აქვს ისეთი იმპერატიული მნიშვნელობა, რომ მას აუცილებლად გამოეწვია ძიების დაკმაყოფილება, რადგან ეს დოკუმენტი წარდგენილ იყო ძველათ წარმოშობილ ურთიერთობის დამამტკიცებელ საბუთებათ. 3) ხსენებულ დოკუმენტებს, როგორც სიგელ-პროექტს არ აქვს მტკიცე საბუთების ხასიათი. 4) კერძო საკუთრების საკითხს სადაო ქონებაზე დღეს, საბჭოთა ხელისუფლების შეხედულებით, გადაწყვეტილების გამოტანის დროს არა აქვს დიდი მნიშვნელობა. 5) სახალხო სასამართლოს მიერ არაა გამორკვეული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია სოციალური მდგომარეობა მხარეებისა და რა რჩება ობლებს საცხოვრებლათ ქონების აღწერილობიდან გამორიცხვის შემდეგ. ყველა ამებისთვის სასამართლოს საკმაო სისწორით არ მოუხდენია კვლევა-ძიება სადაო საკითხების გამოსარკვევათ. აი ყოველივე ეს მიიღო მხედველობაში სახალხო მოსამართლეთა საბჭომ და გააუქმა ქიათურის მოსამართლის გადაწყვეტილება.

ვიღებ რა ყველა ზემოხსენებულს მხედველობაში მოვითხოვ თქვენგან: 1) აღიაროთ თქვენი დანაშაული საქმის უკანონო გადაწყვეტაში თქვენი უვიცობის, ან წინასწარ განზრახვის გამო და 2) ქიათურის სახალხო სასამართლოს წინაშე აღიარეთ, რომ მომავალში ასეთი საქმეების გარჩევის დროს მეტი დაკვირვების და მიუდგომლობის გამოჩენა არის საჭირო.

„შამილ".

ხელოვნება

სიმფონიური მუსიკის სეზონი პროფკავშირთა კლუბის დარბაზში.

საზაფხულო სიმფონიურ კონცერტების სეზონი დასასრულს უახლოვდება. ერთი თვის შემდეგ განზრახულია ოპერის საზამთრო სეზონის გახსნა და ჩქარა დაიწყება საორკესტრო რეპეტიციები. სასიამოვნო იყო იმ დასკვნამდის მისვლა კონცერტის მოსმენის დროს, რომ ორკესტრი, რომლის შესრულებაშიაც ამ ბოლო დროს უხალისობა სჩანდა, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, ეხლა ისევ გამოსწორდა. თუმცა გუშინაც შესრულება ვერ იდგა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც უნდა იდგეს იმ დიდ სიმფონიურ ორკესტრის შესრულება, რომელსაც ბევრი გამოჩენილი მუსიკალური ძალები ყავს,—მაგრამ მაინც შესრულება მისაღები იყო სერიოზულ აუდიტორიისთვისაც კი.

პროგრამაც სერიოზულ მოთხოვნილებებს შეეფერებოდა. მოქ. ბრონმა პროგრამის პირველ განყოფილებაში შეიტანა რუსულ სიმფონიურ მუსიკის კორიფეების ნაწარმოებები, პროგრამის მეორე განყოფილება კი მიძღვნილი იყო შვეციისა და ნორვეგიის კომპოზიტორთა ნაწარმოებებისათვის.

ჩაიკოვსკის მშვენიერი უვერტიურა-ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა" შესრულებული იყო პროგრამის დასაწყისში. ეხლა ორკესტრი უფრო დამთავრებულათ ასრულებს მას, ვიდრე ეს წინეთ იყო.

უკეთესია ფრაზიროვკა, მუსიკალური ეპიზოდები ნათელი და დამოუკიდებელნი არიან (შექსპირის დრამების გმირების სიყვარულის ეპოპეის დამახასიათებელ თემებიდან ორ იტალიანურ პატრიციულ გვართა მონტეკკასა და კაპულეტტის შეურიგებელ ბრძოლის დამახასიათებელ თემებზე გადასვლა); უვერტიურის შესრულებაში უფრო მეტი თანაბარი განაწილებაა მელოდიების, მთავარი მელოდიური თემები რელიეფურია; იყო დეფექტებიც, რაიც აიხსნება ორკესტრის არა სრული შემადგენლობით. უვერტიურის მეორე ნაწილში თითქოს ცარიელი ადგილი გამოვიდა,

დიდის ექსპრესიით იყო შესრულებული კალინნიკოვის პოეტური მუსიკალური პოემა „კედრა და პალმა". „საქორწინო მსვლელობის" შესრულების დროს რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „ოქროს მამალი" (მუსიკალური პამფლეტი რუსეთის უკანასკნელ მეფეებზე)—საჭიროა მეტი სტილი და უკეთესი რიტმი; სრულებით თავისებური სტილი აქვს რიმსკი-კორსაკოვს*)—მუსიკალურ ზღაპრული და ეს უნდა იყვეს ხაზგასმული.

გრიგის მშვენიერი სიმფონიური პოემა „პერ-გინტ"-ი (იბსენის იმავე სახელწოდების დრამის სიუჟეტზე აგებული) ძალიან კარგათ იყო შესრულებული. განსაკუთრებით მეორე ნაწილი „აზას სიკვდილი"—თანდათანობით გაძლიერებულ დინამიკით და მესამე ნაწილი „ანიტრას ცეკვა" სადაც მოქ. ბრონი მეტათ მოხერხებულათ ურთავს მხიარულ ტემპს, რომელიც ახასიათებს დრამის გმირ ქალის ანიტრას ზრელობას.

სიბელიუსის ვალსი (valse trisfe) შესრულებული იყო დიდის მუსიკალობითა და განწყობილებით.

სრულებით არ შეგვიძლია დავეთანხმოთ გრიგის საზეიმო მარშის შესრულებას მოქ. ბრონის მიერ: ეს მარში ფინალია გრიგის Sigurd lasalfar-იდან; ის ახასიათებს გმირ ზიგურდის (sigurd) ზეიმს. ეს მარშია და არა რომანსი და ამიტომ სრულიად არ არის სწორი, ჩვენის აზრით ისეთი ტემპის აღება, როგორც ამას სჩადის მაესტრო ბრონი. აქ უადგილოა ტემპის ყოველგვარი შენელება, სხვანაირათ იკარგება ნაწარმოების სტილი. საჭიროა თავიდანვე აღებულ იქნეს tempo di marcia, დინამიური დასურათების თანდათანობითი განვითარებით.

მუსიკოსი.

---

*) რიმსკი-კორსაკოვი იყო უდიდესი მუსიკალური ნიჭის პატრონი; იგი სრულებით ახალგაზრდა (22 წლის) გარდაიცვალა.

ყურადღება შორეულ სოფლებს

ჩვენი მიზანი არის სოფლად კულტურის შეტანა. ამ მიზნით შემოღებულია ქალაქის უჯრედების შეფობა სოფლად კომუჯრედებზე და საერთოდ ქალაქის დაახლოვება სოფელთან. ჩვენ ვცდილობთ გამოვაფხიზლოთ გლეხობა საუკუნეობრივი ძილისა და უვიცობისაგან. დღეს კიდევ მოიპოვება ისეთი სოფლები, სადაც შეგეკითხებიან: „ვინ არის ჩვენი მეფე"? რა თქმა უნდა, რაც ახლო ძევს, მისი აღება ადვილია. უჯრედების უმრავლესობაც სწორედ ისეთი სოფლების შეფობას ეტანება, რომლებიც რკინისგზის ლიანდაგზე მდებარეობენ. შორეული და მიყრუებული სოფლები თავის ანაბარათაა მიტოვებული და მათ არც ერთი შეფი არ ეპატრონება. ამისათვისაც არის ასეთს სოფლებში ისეთი ჩამორჩენილობა და უვიცობა, რომ „ჩვენი მეფის" ვინაობას გეკითხებიან. ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაეწიოს და შეფობის საკითხი აზრიანად უნდა მოწესრიგდეს.

უფრო ღონიერმა და ძლიერმა უჯრედებმა უნდა იკისრონ შეფობა დაშორებულ და მიყრუებულ სოფლებისა. მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს შეფობა და მხოლოდ მაშინ გამოვიყვანთ უვიცობისაგან ჩვენი სოფლის ჩამორჩენილ ნაწილს.

პროვინციაში

ქვემო ჭალადიდის თემი (სენაკის მაზრა).

ა. წ. აგვისტოს 1—2 რიცხვებში ჩვენს თემს ეწვია სამეგრელოს სამალიარიო ექსპედიცია, მოწყობილი საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ, რომელმაც გლეხობას დაურიგა უფასოთ ქინა და მოახდინა ჭაობების გამოკვლევა, რითაც ადგილობრივი მცხოვრებნი დარჩენ დიდათ კმაყოფილი და მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას.

ჭალადიდის თემის გლეხობა იმედს გამოსთქვამს, რომ მუშათა და გლეხთა ჭირ-ვარამის გამკითხავი მთავრობა, როგორც წარსულში, მომავალშიაც არ მოაკლებს მშრომელთ მზრუნველობას და შემდეგშიაც მიიღებს ზომებს მალიარიის აღმოსაფხვრელად, რომელიც მუსრს ავლებს, განსაკუთრებით, ღარიბ მშრომელებს.

ბიქტორ ქორქია.

რაჭის ალმასკომის საყურადღებოდ.

მიმდინარე წლის მარტში ს. ბუგეულის თემს (რაჭის მაზრა), თანახმად მაზრის მთავრობის განკარგულებისა, ადგილობრივმა ალმასკომმა შეაწერა ეგრედ წოდებული „სასკოლო" გადასახადი. გაწერილი იყო საშუალო გლეხებზე 510 ათ. მანეთი. ფული გროვდებოდა არაჩვეულებრივი სისწრაფით. მხოლოდ, როდესაც ფული უკვე შეგროვდა გადიგზავნა მაზრაში გამოირკვა, რომ აღნიშნული „სასკოლო" გადასახადი შეცდომით იყო შეწერილი გლეხებზე. მას შემდეგ განვლო ოთხმა თვემ და გადამხდელმა არ იცის რა დანიშნულება მიეცა ამ ფულს. რომ ამის გამო უკმაყოფილება არ დაიბადოს, რაჭის გლეხობაში საჭიროა მიეცეს მას ცნობა ზემოთ აღნიშნული ფულის შესახებ.

ბუგეულელი.

საჭიროა გზის კეთება

(გურია)

ოზურგეთის მაზრაში, სადგურ ნიგოითიდგან ხიდისთავამდე მიმავალი გზა, რომლითაც სარგებლობს 15—17 სოფელი სრულებით გაფუჭებულია. საკმარისია ერთი დღე იწვიმოს, რომ არამც თუ ურემს, არამედ კაცსაც გაუჭირდება ამ ვიწრო და დანგრეულ ბილიკებზე სიარული.

გასაკეთებელია მხოლოდ 13-14 ვერსის მანძილზე. რამოდენიმე ათეული წელია, რაც ამ გზის გაკეთებაზე არის ლაპარაკი, ხოლოდ გამკეთებელი კი არსად სჩანდა.

კერძო ლაპარაკში ადგილობრივი გლეხები მოითხოვენ: აიღეთ ინიციატივა და ჩვენ მთელის ჩვენის ენერგიით მოვეკიდებით ამ დიად. საქმესო, არ დარჩება სახლში არავინ, რომ არ გამოვიდეს ამ გზის გასაკეთებლათო.

აი სწორეთ ეხლა ძალიან ადვილია ამ საქმის დაწყება; ყოველივე გზის სამუშაო იარაღი განთავისუფლებულია ოზურგეთის რკინის გზაზე მიწის მუშაობის მოთავების შემდეგ. ამ იარაღების და გლეხობის, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს ამ გზის გაკეთებას, გამოყენება ეხლა შეიძლება და აუცილებელიცაა.

მართალია, მარტო იარაღი და მუშახელი საკმარისი არ არის, საჭიროა ფულიც, მაგრამ არც ეს არის შეუძლებელი.

ადგილობრივი ამხანაგები უნდა ჩაუდგენ საქმეს სათავეში, მიურახუნონ კარებზე, სადაც ჯერ არს, გამონახონ ყოველივე საშვალება ამ აუცილებელ და მეტად საჭირო გზის გასაკეთებლად. ქალაქის მუშებიც, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობენ ამ გზის გაკეთებას.

ეს იქნება მეორე უდიდესი აქტი გურიის ცხოვრებაში—ერთი ოზურგეთის რკინის გზა, რომელზედაც ჩვენი მოწინააღმდეგენი ამბობდენ: „**დაწყება არაფერია—მოათავონო**", ისინი ეხლა ფაქტის წინაშე დგანან, რკინის გზა თითქმის მოთავდა—კიდევ ერთი თვე და ორთქლმავალი მიაკივლებს გურიის სოფლებს. მორიგი საქმეა ნიგოით-ხიდისთავის შარაგზა და ჩვენი მოწინააღმდეგენი გურიაში იარაღ აყრილნი იქნებიან.

დაუმტკიცოთ მათ, რომ ჩვენ დაპირებაც ვიცით და შესრულებაც, და მათ კი მხოლოდ დაპირება.

ხ. კობალაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 26

31 აგვისტო, 1923 წელი.

სახალხო განათლების კომისარიატისა

რესპუბლიკის სასწავლებლებში სასწავლო სახელმძღვანელოების ხმარების შესახებ.

დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, აღკრძალულია საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებში სახმარებლათ, როგორც სახელმძღვანელოები, ყველა ის სახელმძღვანელო, რომელიც არ არის გამოცემული საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ან ნებადართული სახალხო განათლების კომისარიატისაგან.

მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო გამომცემლობის გამოცემანი იქნებიან დაშვებული სკოლებში სახმარებლათ, როგორც სახელმძღვანელოები, ყოველ ცალკე შემთხვევაში, განათლების კომისარიატის მიერ.

წინადადება ეძლევათ მაზრების განათლების განყოფილებების, ტეხნიკუმების, შრომის სკოლების გამგეებს და ინსტრუქტორებს, რათა თვალყური ადევნონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. ის პირნი, რომელნიც იქნებიან შემჩნეულნი ამ დადგენილების დარღვევაში, იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში და გადაყენებულნი სამსახურიდან.

ამასთანავე ერთად ცხადდება სია იმ სახელმძღვანელოებისა, რომელნიც ნებადართულია სასწავლებლებში სახმარებლად.

1. ქართულ ენაში:

1. ი. გოგებაშვილი - დედა ენა 1 ნაწ. გამ. 1923 წლისა.
2. კიკვაძე და ქუმბურიძე—„ჩვენი სკოლა" 1, პირ. გან. კურ.
3. კიკვაძე და ქუმბურიძე—„ჩვენი სკოლა" 2, პირ. განყ. კურ.
4. კიკვაძე და ქუმბურიძე—„ჩვენი სკოლა" 3, მეორე განყ. კურ.
5. თაბუკაშვილი — განთიადი — 1 ნაწ მე 3 გან. კურსი.
6. თაბუკაშვილი - განთიადი 2, მე-4 გან. კურსი.
7. ქუმბურიძე — „თაიგული" მე-4 განყ. კურსი.
8. გომელაური „ჩვენი მწერლები" 1, 5 გან. კურ.
9. გომელაური — „ჩვენი მწერლები" 2, 6 გან. კურ.
10. გომელაური — „ჩვენი მწერლები" 3, 7 გან. კურ.
11. გომელაური—„ჩვენი მწერლები" 4,8 გან. კურ.
12. ხუნდაძე — ქართული გრამატიკა.
13 თაბუკაშვილი — მეთოდიური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ.
14 ალ. ჭიაქაძე—მსოფლიო ლიტერატურის ისტორია 1, დროებით.

რუსულ ენაში:

1. მასწავლებელთა ჯგუფი —„Новая школа" პირველი წლის კურსი.
2. გოგებაშვილი—„Русское слово" 2 ნაწ. გამ. 1923 წ. მეორე წლ. კურსი.
3. ჯაფარიძე და ზედგინიძე—Методическая хрестоматия 1 ნ. მე-2 წლ. კურსი.
4. იგივე 2 ნ. მე-3 წლის კ.
5. იგივე 3 ნ. მე 4 წლის კ.
6. იგივე 4 ნ. მე-5 წლის კ.
7. ახვლედიანი ზანდუკელი - ქრისტომატია ტეხნიკუმებისათვის.
8. კანდელაკი-მისაბიშვილი — რუსული ქრისტომატია ტეხნიკუმებისათვის დროებით დაშ

არითმეტიკაში:

1. ჩიმაკაძე-შუბლაძე — ამოცანათა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული 1 ნაწ.
2. იგივე 2 ნაწ.
3. დათეშიძისა — არითმეტიკული კრებული 1 ნ.
4. იგივე 2 ნაწილი.
5. გ. წერეთლისა — არითმეტიკული კრებული.
6. არითმეტიკა — კიურზენის თარგმანი ხარაბაძისა.

გეომეტრია, ალგებრა, ფიზიკა, ტრიგონომეტრია.

1. შაფაქიძე — თვალსაჩინო გეომეტრია 1 ნაწ.
2. იგივე 2 ნ.
3. იგივე 2 ნ. მეორე წიგნი.
4. იგივე 3 ნ.
5. ს. ოცხელი — ელემენტარული გეომეტრია 1 ნ.
6. იგივე 2 ნ.
7. კანდელაკი — სტერეომეტრია.
8. ს. ოცხელი—ელემენტარული ალგებრა 1 ნ.
9. იგივე 2 ნ.
10. ს. ოცხელი და ნიჟარაძე—ფიზიკა 1 ნაწ.
11. იგივე 1 ნ.
12. ჯანელიძე — ფიზიკა.
13. კრაევიჩი — ფიზიკა.
14. დევიძე და ხარაბაძე — ტრიგონომეტრია.
15. ბერიძე - ლოგარითმები.
16. გ. წერეთლის — ალგებრული ამოცანათა კრებული.

ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ქიმია და სხვა.

1. არ. ჩხენკელი—ბუნება 1 ნ.
2. იგივე 2 ნ.
3. დ. ქუთათელაძე — ზოოლოგია.
4. მეტრეველი და არჯევანიძე — ბუნებისმეტყველების ცდათა კრებული 1 ნ.
5. იგივე 2 ნ.
6. ჭავჭანიძე — ბუნებისმეტყველების ცდათა რვეული.
7. საზონოვი და ვერსოვსკი — ქიმია თარგ. კაკაბაძისა.
8 ჭიჭინაძე — ორთქლის ქვაბები.
9. იაშვილი — საზოგადო გეოგრაფია
10. იგივე — ევროპა.
11. დონდუა — ბუნება სკოლაში.
12. იაშვილი—ბუნებისმეტყველების მოკლე სახელმძღვან.
13. დ. უზნაძე—პირველყოფილი კულტურა.
14. ნათაძე — პირველყოფილი კულტურა.
15. კარგარეთელი—სიმღერა მუსიკის სახელმძღვანელო.
16. ჩელპანოვი — ფსიხოლოგია.
17. შ. ნუცუბიძე — ლოღიკა 1923 წ. გამ.
18. კაკაბაძისა — პირველი მუშაობა ქიმიაში.
19. ნიკოლაიშვილი — ძერწვა.
20. ბაქრაძე - ჰიგიენის და ეპიდემიოლოგიის სახელმძღ.
21. ნათაძე—ადამიანის ნორმალური ანატომია 1 ნ.
22. იგივე 2 ნ.
23. ქურდიანი—მეტყევეობის კურსი.
24. რაზმაძე — ინტეგრალური აღრიცხვები.
25. მაისურაძე — ჰისტოლოგია 1 ნ.
26. იგივე 2 ნ.
27. ე. ლოსაბერიძე — ჰიგიენა.
28. ივ. რუხაძე—საქართველოს გეოგრაფია.
29. გ. წერეთელი—„ჰიგიენა" ტეხნიკუმის კურსი.

პოლიტიკურ ეკონომიაში და საზოგადოებათა მეცნიერებაში.

1. ალ. ბოგდანოვი—მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა თარგ. ის. თალაკვაძისა.
2. ს ს. ს. რ. კონსტიტუცია.
3. სტუჩკა — კონსტიტუცია სიტყვა-პასუხით.
4. პროფ. გურვიჩი—საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები.
5. სტუჩკა — მეცნიერება რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფოსა და კონსტიტუციაზე.
6. ვოლფიუს — ნაწყვეტები საზოგადოებათა მეცნიერებისა.
7. კოვალენკო — პოლიტიკური ანაბანა.

ისტორიაში:

1. პოკროვსკი—რუსეთის მოკლე ისტორია.
2. როჟკოვი—მსოფლიო და რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელო 1 ნაწ.
3. იგივე 2 ნ.
4. იგივე 3 ნ.
5. იგივე 4 ნ

საქართველოს ისტორია [illegible] ლი აქვს დასაწერათ [illegible]რგის კაკაბაძეს განსაკუთრებული კონსპექტით და მატერ[illegible] [illegible] ებით [illegible] სახელმძღვანელოს [illegible] ისტორიის გეგმის მიხედვით.

უცხო ენების სახელმძღვანელოები.

1. შევარდნაძე და სვანიძე—გერმანულ ენის სახელმძღვანელო 1 და 2 ნაწ.
2. შევარდნაძე და სვანიძე—გერმანულ ენის გრამატიკა.
3. შანსელ გლეზერი—ფრანგული ქრისტომატია თარგმანი კ. რუტკის მიერ (დროებ. დაშვ.).
4. მისივე—გერმანული ქრისტომატია ტეხნიკუმებისათვის (დროებით დაშვ)

სახალხო განათლების კომისარი **დ. კანდელაკი.**

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **პ. ზუმბაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რათა ორშაბათს, 10 სექტემბერს, უჯრედების სხდომაზე დაისვას მოხსენება გერმანიის ამბების შესახებ.

მასალად გამოიყენონ საგაზეთო ცნობები.

კომ. ახალ. კავშირის ტფ. კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის მოადგილე

გ. მეტონიძე.

შაბათს, 8 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება თათბირი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა შორის სტიპენდიების გამნაწილებელ კომისიისა. კრებაზე მოიწვევიან წარმომადგენლები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კომორგანიზაციისა, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირისა, სახალხო განათლებისა და პოლიტგანათლების განყოფილებისა.

სააგ. საპრ. განყ. გამგე მ. ესსენი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომელნიც ამჟამად მუშაობენ, ან როდისმე მუშაობდენ, დამზღვევ დაწესებულებებში და იციან დაზღვევის საქმე, გაატარებინ რეგისტრაციაში 10 სექტემბრამდე, ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

საღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების გამგე ბარსეგოვი.

განცხადებები

ბაგრატ როსაპის ძე ბუილიშვილი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ქალ. ირკუტსკში გარდაიცვალი დაუვიწყარი ძმა

ამბერკი როსაპის ძე ბუილიშვილი

რომლის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადახდილ იქნება ქ. ქუთაისში—მთავარ ანგელოზის ტაძარში, კვირას, 9 სექტემბერს, დღის 12 საათზე. № 1177. 1—1.

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 18 სექტემბერს

დანიშნულია

შეჯიბრება

დროებითი ქვის აბანოს სამუშაოთა ადგილზე იჯარით აღების შესახებ.

ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალებით, ხოლო მოიჯარადრის ხელსაწყოთი.

სამუშაოს შესრულების ვადა თვე-ნახევარია, ის პირები რომლებსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაონი შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტებში დაწესებული ნიმუშის ბლანკზე.

წარწერით: „1923 წ. 18 სექტემბრის შეჯიბრებისათვის" ამავე დღეს გაიხსნება კონვერტები.

ვრცელ პირობებთან და ნახაზებთან გაცნობა შეიძლება „ზაჰესის" ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე 10—12 საათამდე ქ ტფილისი ლ. დუმბაძის ქუჩა № 3). აქიდანვე გაიცემა დაწესებული ფორმის ბლანკები განცხადებისათვის.

სამუშაოთა უფროსის თანაშემწე გ. კეკნაძე. 602 2—1

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული ბუღალტერიო პრაქტიკული კურსი

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—41

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

[illegible] სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20 (501—25 12

ქ. ტფილისის მე-2-ე რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში ანნა ვიქტორის ასულ ხრისტიჩს, დაბადებით ფინკოვიჩს, როგორც მოპასუხე მის ქმართან ლეონიდ პეტრეს ძე ხრისტიჩ განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნების არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

სახალხო მოსამართლე მ ჩხეიძე. 1178 1—1

ქ. ტფილისის მე-2-ე რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ემელიანოვს, როგორც მოპასუხეს, მის ცოლთან ეზოია ივანეს ასული ემელიანოვასთან, დაბადებით კოტორევიჩი, განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდანა ამის გამოქვეყნების არ გამოცხადდება, დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება

სახალხო მოსამართლე მ. ჩხეიძე. 1178 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული—გამოჩენებულის თემის ალმასკომისაგან, 22 ივლ 23 წ., № 1378, დავით ალექსანდრეს ძე ტონიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1170 1—1

დაიკარგა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 3397 სოფიო პავლეს ას. ლ ბაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1176 1—1

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, [illegible] ქუჩა № 4.